საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

შაბათი-კვირა, 18-19 იანვარი. 2020 წ. №9 (8935) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტრის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

მთავარია ენერგოუსაფრთხოება

რაც ქვეყანას აენერგიულებს... ②



გილოცავთ ნათლისღება — წყალკურთხევის მადლიან დღესასწაულს!!!

უძველესი ვაზის ნაჭური საქართველოშია აღმოჩენილი ⑫

2020 წლის ტექნოლოგიები

გინდ დაიჯერეთ, გინდ - არა... ⑨

მედვედევი ⑧ გამოადგილევდა...

რა უნდათ თურქულ კომპანიებს აფხაზეთში ④

პატრიარქმა „ქართული ოცნების“ დეპუტატებს ერთობისკენ მოუწოდა

საპარლამენტო უმრავლესობის წევრები სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ეწვივნენ. ამ ინფორმაციას პარლამენტის პრესსამსახური ავრცელებს.

დეპუტატებმა ილია მეორეს დაბადების დღე, აღსაყდრებიდან 42 წელი და შობა-ახალი წლის დღესასწაული მიულოცეს. მათთან ერთად ოჯახის წევრებიც, მათ შორის, უწმინდესის ნათლულებიც იყვნენ.

„ჩვენ მოვედით, რომ მოგილოცოთ დაბადების დღე, 42 წელი აღსაყდრების, შობა-ახალი წელი, კიდევ ერთხელ დაგიდასტუროთ დიდი სიყვარული და პატივისცემა ჩვენ ყველამ ერთად. ვფიქრობთ, რომ საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილის სიყვარული მოგიტანეთ დღეს“, — მიმართა ილია მეორეს პარლამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ გიორგი ვოლსკიმ. კათოლიკოს-პატრიარქმა პარლამენტის წევრები დალოცა და ქვეყნისა და ხალხის სამსახურში წარმატებები უსურვა.

„მოხარული ვარ თქვენთან შეხვედრით. მინდა გთხოვოთ, რომ ეცადოთ, არ იყოს დაყოფა თქვენს შორის, თქვენ უნდა მისცეთ მაგალითი ჩვენს ახალგაზრდობას. ღმერთი მოწყალეა და ღმერთი გაგვიხსნის გზას და ჩვენ გავალთ სამშვიდობოს. დალოცვილი იყავით“, — მიმართა ილია მეორემ საპარლამენტო უმრავლესობის წევრებს.

„მის უწმინდესობას მიულოცეს და სიტყვით მიმართეს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ ილია ნაკაშიძემ, ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ რატი იონათამიშვილმა, პარლამენტის ყოფილმა წევრმა კარლო კოპალიანმა, დეპუტატებმა ენძელა მაჭავარიანმა, ირაკლი შიოლაშვილმა, მერაბ ქვარაიამ, ანრი ოხანაშვილმა, რევაზ არველაძემ, გენადი მარგველაშვილმა, რომლებმაც მის უწმინდესობას კოლეგების სახელით უსურვეს დღეგრძელობა და დიდხანს სიცოცხლე ქვეყნის საკეთილდღეოდ“.

რაც მოგივა დავითაო!..

მარადმწვანე ნაციონალი მსახიობები, რომლებმაც ივანიშვილის „მოწყალებაზე“ ჯერ კიდევ 2012 წელს თქვეს უარი

ბიძინა ივანიშვილს „მოწყალებაზე“ უარი მარჯანიშვილის თეატრის ექვსმა მსახიობმა უთხრა, — ამის შესახებ „2020-NEWS“-ს მარჯანიშვილის თეატრის მსახიობმა ირაკლი ჩოლოყაშვილმა განუცხადა. მსახიობის თქმით, ამ შემთხვევაში უმადურობა არაფერ შუაში არაა. სანამ ივანიშვილი მეცენატი იყო, მისგან დახმარების მიღებაზე უარს არ ამბობდა, მაგრამ შემდეგ, როდესაც მან პოლიტიკაში მოსვლა გადაწყვიტა, მსახიობებმა ვალდებულებების აღებაზე უარი თქვეს.

„ბიძინა ივანიშვილის დახმარებაზე 2012 წელს ვთქვი უარი. მანამდე მეცენატი იყო და მის დახმარებაზე უარი არ გვითქვამს. ახლა მისგან „შემწეობის“ მიღება, სწორი არ არის. ჩემს გარდა, მარჯანიშვილის თეატრში კიდევ რამდენიმე მსახიობმა თქვა უარი დახმარების მიღებაზე. მათ შორის არიან ДИМИТРИ ТАТИШВილი, ბაია დვალიშვილი, მანანა კოზაკოვა, აკაკი ხიდაშელი და ძეთი ცხაკაია“, — განუცხადა „2020NEWS“-ს ჩოლოყაშვილმა.

— ბევრს იცნობთ, ვინც დღემდე იღებს დახმარებას?

— მარჯანიშვილის თეატრში ყველა მსახიობი იღებს დახმარებას, ვინც გითხარით მათი გამოკლებით. თეატრში კი თუ სწორად მახსოვს, 60 მსახიობია.

რაც ქვეყანას აენერგიულებს...

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ ნათია თურნავასთან ერთად გარდაბანში უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი, 230 მეგავატი დადგმული სიმძლავრის მქონე „გარდაბნის თბოელექტროსადგური 2“ გახსნა. ინფორმაციას პრემიერის პრესსამსახური ავრცელებს.

თბოელექტროსადგურის სამშენებლო ფაზა 2018 წლის თებერვლიდან 2019 წლის დეკემბრამდე გრძელდებოდა და ელექტროენერგიის გენერაციას მიმდინარე წლის ზამთრის სეზონისთვის სრული მოცულობით უზრუნველყოფს. „გარდაბნის თბოელექტროსადგური 2“ წელიწადში 1,3 მილიარდ კვტ.სთ-მდე ელექტროენერგიას გამოიმუშავებს. მაღალი ეფექტიანობით და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიით გამორჩეული ობიექტი საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის 180 მილიონამდე აშშ დოლარის ინვესტიციით აშენდა.

პრემიერმა „გარდაბნის თბოელექტროსადგური 2“-ის გახსნაზე დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა და პროექტი საქართველოს ენერგოსისტემისთვის ძალზე ეფექტურად და მნიშვნელოვნად შეაფასა.

„ყველას კარგად გვახსოვს და ვიცით, რომ ჩვენი ძირითადი ამოცანა გახლავთ ახალი სამუშაო ადგილები, ჩვენი ეკონომიკური ზრდა, რისთვისაც, რა თქმა უნდა, ენერგოეფექტურობა და, საერთოდ, ენერგიის წყარო არის კრიტიკულად მნიშვნელოვანი. სწორედ ამიტომ, გარდაბნის ახალი თბოელექტროსადგური, პირველ რიგში, უზრუნველყოფს საქართველოს ენერგოსისტემის მდგრადობას და, რაც მთავარია, ამასთან ერთად, ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებას.

ყველას კარგად მოგეხსენებათ, რომ ბოლო წლების განმავლობაში საკმაოდ სერიოზული თანხები იყო ინვესტირებული საერთოდ გენერაციაში. 2012 წლიდან 2019 წლამდე ჩვენს ენერგოსისტემას მილიარდ 200 000-მდე მეგავატის სიმძლავრეები დაემატა, რაც არის კრიტიკულად მნიშვნელოვანი და, ასევე, ყველას კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ჩვენ ეს მუშაობა არ უნდა შევაჩეროთ და უნდა გავაგრძელოთ, რამეთუ ჩვენი ეკონომიკა იზრდება, ენერგომოხმარება ქვეყანაში იზრდება და, რა თქმა უნდა, სისტემის მდგრადობისთვის ჩვენ გვჭირდება გენერაციის ახალი წყაროები,“ — აღნიშნა პრემიერმა სიტყვით გამოსვლისას.

მთავრობის მეთაურის განცხადებით, საქართველო უნდა გახდეს ელექტროენერგიის ტრანზიტის მიმართულებითაც ძალზე მნიშვნელოვანი და სტაბილური სატრანზიტო ქვეყანა.

„ყველას კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ ის რეფორმები, რასაც ეკონომიკის სამინისტრო ენერგეტიკის დარგში ატარებს, კრიტიკულად მნიშვნელოვანია და თუ დღეს საქართველო არის როგორც სატრანზიტო ქვეყანა სტაბილური, მდგრადი სხვადასხვა ენერგომატარებლების ტრანზიტის თვალსაზრისით და აბსოლუტურად განჭვრეტადი პარტნიორი ევროკავშირისა და ჩვენი მეზობლებისთვის, ზუსტად ასე უნდა გავხდეთ ელექტროენერგიის ტრანზიტის მიმართულებითაც ძალზედ მნიშვნელოვანი და სტაბილური სატრანზიტო ქვეყანა. ეს არის ამოცანები, რომელიც დგას ჩვენი ქვეყნის ენერგოსისტემის, ეკონომიკის სამინისტროსა და მთავრობის წინაშე“, — განაცხადა გიორგი გახარიამ.

პრემიერმა, აგრეთვე, მადლობა გადაუხადა ნავთობისა და გაზის კორპორაციას, ეკონომიკის სამინისტროს, ჩინელ კოლეგებს, რომელთაც, როგორც გიორგი გახარიამ აღნიშნა, რეკორდულ ვადებში, 2 წელიწადში დაასრულეს მშენებლობა და დამსწრე საზოგადოებასა და პროექტში ჩართულ თითოეულ ადამიანს „გარდაბნის თბოელექტროსადგური 2“-ის გახსნა მიულოცა.

ახალი თბოელექტროსადგური, პირველად საქართველოში, ინოვაციური, ე.წ. ნულიდან გაშვების ფუნქციითაა აღჭურვილი, რაც ქვეყნის ელექტროსისტემაში საგანგებო მდგომარეობის შემთხვევაში, დროის მოკლე პერიოდში, სისტემისთვის ელექტროენერგიის მიწოდებას და ნულიდან აღდგენას გულისხმობს.

კომბინირებული ციკლის ახალი ენერგო-ეფექტური თბოელექტროსადგური თითქმის ორჯერ უფრო ნაკლებ გაზს მოიხმარს და უფრო ეკონომიურია, ვიდრე საქართველოში ბუნებრივ აირზე მომუშავე ძველი ენერგობლოკები.

გიორგი გახარია: სამწუხაროდ, სხვადასხვა კვლევა პოლიტიკური პროცესის ნაწილი გახდა!

„ენდიაის“ კვლევებთან დაკავშირებით არაფრის თქმა არ შემიძლია, გარდა იმისა, რომ საბოლოო განაჩენს მაინც ამომრჩეველი გამოიტანს და დაველოდოთ, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ ჟურნალისტებს განუცხადა.

როგორც გიორგი გახარიამ აღნიშნა, ყველა კვლევა, ნაცვლად იმისა, რომ გახდეს დასკვნისა და ანალიზის საფუძველი, პოლიტიკური პროცესის ნაწილი გახდა.

საქმის კეთება „ცეკვის“ გარეშე ბევრს არ შეუძლია!..

ჩვენს პოლიტიკურ რეალობაში და ცხოვრებაში არ არის ბევრი ადამიანი, რომელსაც შეუძლია გადადგას მძიმე ნაბიჯი, აიღოს პასუხისმგებლობა და ეს გააკეთოს წყნარად, მშვიდად, ყველანაირი ცეკვების გარეშე, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, გიორგი გახარიამ ირაკლი შოთაძის კანდიდატურასთან დაკავშრებული კითხვის საპასუხოდ განაცხადა.

„გენერალური პროკურორის კანდიდატს, გარკვეული დროის შემდგომ უკვე, საპროკურორო საბჭო გადაწყვეტს. იქ საკმაოდ ბევრი ღირსეული კანდიდატია. მე ვიცნობ მხოლოდ და მხოლოდ ირაკლი შოთაძეს. შემიძლია გითხრათ, რომ ირაკლი არის ღირსეული ადამიანი, ღირსეული პიროვნება, პროფესიონალი და მან ბოლო წლების განმავლობაში არაერთხელ დაამტკიცა, რომ შეუძლია მძიმე, რთული ნაბიჯების გადადგმაც და პასუხისმგებლობის აღებაც. ჩვენს პოლიტიკურ რეალობაში და ცხოვრებაში არ არის ბევრი ადამიანი, რომელსაც შეუძლია გადადგას მძიმე ნაბიჯი, აიღოს პასუხისმგებლობა და ეს გააკეთოს წყნარად, მშვიდად, ყველანაირი ცეკვების გარეშე“, — განაცხადა გიორგი გახარიამ.

მაინცდამაინც გინდათ, რომ დაგასპოილეროთ?

დაელოდეთ ფინალურ სერიას, ნუ ჩქარობთ, — ასე უპასუხა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ ჟურნალისტების კითხვას, იგეგმება თუ არა მთავრობის მეთაურის ცვლილება.

„ისე დაჟინებით მეკითხებით, მაინცდამაინც გინდათ, რომ დაგასპოილეროთ? დაელოდეთ ფინალურ სერიას და ვნახოთ. მთავრობის სხდომა მაქვს, ცოტა მეჩქარება“, — განაცხადა გიორგი გახარიამ.

„გარდაბნის თბოელექტროსადგური 2“ საჭიროების შემთხვევაში ქვეყნის ენერგომოხმარების 10 პროცენტზე მეტს უზრუნველყოფს

„გარდაბნის თბოელექტროსადგური 2“ არის ძალიან მნიშვნელოვანი ობიექტი, რომელიც საქართველოს ენერგოუსაფრთხოებას უზრუნველყოფს, — ამის შესახებ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ განაცხადა გარდაბანში, თბოელექტროსადგურის გახსნის ცერემონიაზე სიტყვით გამოსვლისას.

მისი თქმით, აღნიშნული სადგური ორჯერ უფრო ეფექტიანია, ვიდრე ე.წ. ღია ციკლის თბოსადგურები.

2019 წელს აღნიშნული რეფორმა საქართველოს პრემიერ-მინისტრის დავალებით დაიწყო.

„ჩვენ შევიმუშავეთ და დავამტკიცეთ ახალი, ევროპული ტიპის კანონმდებლობა, დავიწყეთ ჩვენი ენერგეტიკული ბაზრის ეტაპობრივი გახსნა და შევქმენით კონკურენტული, ღია ენერგეტიკული ბაზარი, დავაფუძნეთ ენერგეტიკული ბირჟა და, რა თქმა უნდა, ჩვენი ერთ-ერთი მთავრი მიმართულება არის, ხელი შევუწყოთ ახალი გენერაციის ობიექტების მშენებლობას. სწორედ ასეთი, ახალი გენერაციის ობიექტი გახლავთ ეს თბოსადგური, რომელიც ჩვენ დღეს გავხსენით და შეგვყავს ექსპლუატაციაში“, — განაცხადა ეკონომიკის მინისტრმა.

განახლებადი ენერგიის განვითარება ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია და ამ მიმართულებით წლევანდელი წელი გამორჩეულია, რადგან რამდენიმე მასშტაბური პროექტი იწყება ან შედის ექსპლუატაციაში.

„მინდა, განსაკუთრებით გამოვყო ახალი თბოსადგურების მშენებლობის მნიშვნელობა, რადგან ეს არის საბაზისო ენერგიის წყარო, ეს არის სადგური, რომელიც ჩვენი ქვეყნის მოხმარების 10 პროცენტზე მეტს უზრუნველყოფს საჭიროების შემთხვევაში, ეს არის ჩვენი ე.წ. რეზერვი, რომელიც აუცილებლობის შემთხვევაში, ძალიან სწრაფად შედის მწყობრში და უზრუნველყოფს სისტემის მდგრადობას. მაგალითისთვის ვიტყვი, რომ მხოლოდ ამ ერთ თბოსადგურს შეუძლია, თვეში თბილისის საშუალო მოხმარების 70 პროცენტის დაფარვა“, — განაცხადა ნათია თურნავამ.

მან პროექტის განხორციელებისთვის ნავთობისა და გაზის კორპორაციას მადლობა გადაუხადა.

იმპორტზე დამოკიდებული ენერგეტიკა ვალუტის დიდი ოდენობით გადინებას იწვევს“

რადიო „კომერსანტის“ ამას წინათ გადაცემაში „პროფესიონალები“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარემ დავით ნარმანიამ 2019 წლის ენერგეტიკის და წყალმომარაგების რეგულირების მნიშვნელოვან მოვლენებსა და გამოწვევებზე ისაუბრა. დავით ნარმანიას თქმით, 2020 წლიდან ენერგოსექტორის რეგულირების სფეროში ახალი ერა იწყება.

2019 წლის მნიშვნელოვან გამოწვევებს შორის კი ელექტროენერგიაზე გაზრდილი მოთხოვნა და ჰესების დაუსრულებელი სამშენებლო პროექტებია.



„ეკონომიკის ზრდის პარალელურად, ელექტროენერგიაზე მოთხოვნა ყოველწლიურად იზრდება. რამდენიმე ახალი ობიექტი უკვე გაეშვა მცირე და საშუალო ჰიდროელექტროსადგურების სახით. სულ რამდენიმე დღის წინათ პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო ახალი კანონი და რეალურად, ახალი ერა დაიწყო ენერგოსექტორის რეგულირების სფეროში.

2019 წელს ბევრი მნიშვნელოვანი გამოწვევა გვქონდა. მათ შორის, გამოვყოფდი ჰესების მშენებლობასთან დაკავშირებულ წინააღმდეგობებს. ეს გამოწვევა ნამდვილად უნდა დავძლიოთ, ვინაიდან ენერგიაზე მოთხოვნა იზრდება და შესაბამისად, გენერაცია თუ არ მიჰყვა გაზრდილ მოთხოვნას, მუდმივად დამოკიდებული ვიქნებით იმპორტზე. რაც ვალუტის გადინებას გამოიწვევს. ეს საკითხი აქტუალურია დასაქმებისა და ბიუჯეტში გადახდილი გადასახადების თვალსაზრისითაც. ამდენად, ჰესების მშენებლობის ნაწილში ასევე მნიშვნელოვანია ე.წ „გაყინული მშენებლობების“ გალღვობა და გააქტიურება. უნდა აშენდეს ის უწყინარი ელექტროსადგურები,რომელთა გარემოზე ზემოქმედების შეფასება შესწავლილია და რაიმე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა არ არის გამოვლენილი.

მეორე გამოწვევა, რაც განსაკუთრებით წლის პირველ ნახევარში გვქონდა და შემდეგ შესუსტდა, მაინინგის ელექტროენერგიაზე „ჩამოკიდებას“ უკავშირდება. კრიპტოვალუტა საკმაოდ ენერგიატევადია, თუმცა მას შემდეგ, რაც ბიტკოინის ფასები შემცირდა, ენერგიაზე მოთხოვნამაც დაიკლო.

გამოწვევები უკავშირდება გადასახადთან დაკავშირებულ პრობლემებს. მაგალითად, მესტიის მუნიციპალიტეტში საოჯახო მეურნეობები არ იხდიან ელექტროენერგიის გადასახადს, რაც მდგომარეობას ამძიმებს. საქართველოში ტურიზმი საკმაოდ კარგად ვითარდება, განსაკუთრებით სამთო-სათხილამურო ტურიზმი, ეს კი პარალელურად იწვევს ენერგიაზე მოთხოვნის ზრდას,“ — აღნიშნავს დავით ნარმანია.

ბუნებრივ სექტორში ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვე-

აშშ-ის ახალმა ელჩმა კელი დეგნანმა ფიცი დადო

საქართველოში აშშ-ის ახალმა ელჩმა კელი დეგნანმა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში გამართული ღონისძიებისას ფიცი დადო. ცერემონიას აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე დევიდ ჰეილი დაესწრო. აშშ-ის სენატმა საქართველოში ელჩის თანამდებობაზე კელი დეგნანი 20 დეკემბერს დანიშნა.

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა კელი დეგნანი საქართველოში ელჩის პოზიციაზე 4 სექტემბერს დაასახელა. საქართველოში აშშ-ის ელჩის პოსტი 2018 წლის მარტიდან ვაკანტურია. 2015 წლიდან 2018 წლამდე ამ პოსტს იან კელი იკავებდა.

ამჟამად საქართველოში აშშ-ის ელჩის მოვალეობას ელიზაბეთ რუდი ასრულებს. მანამდე, გარკვეული პერიოდის განმავლობაში ამ პოზიციას როს უილსონი ითავსებდა.

კელი დეგნანი: საქართველომ სახელმწიფოებრივი მშენებლობის გზაზე ისტორიულ პროგრესს მიაღწია

საქართველოში აშშ-ის ახალი ელჩის კელი დეგნანის განცხადებით, საქართველომ სახელმწიფოებრივი მშენებლობის გზაზე ისტორიულ პროგრესს მიაღწია. კელი დეგნანის ფიცის დადების ცერემონია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში გაიმართა. ინფორმაციას საგარეო საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

დეგნანის განცხადებით, მისი, როგორც ახალი ელჩის მიზანია საქართველოსთან ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავება, მათ შორის უსაფრთხოების, ეკონომიკური და დემოკრატიული განვითარების მიმართულებებით.

13 იანვარს აშშ-ში საქართველოს ელჩმა დავით ბაქრაძემ კელი დეგნანს ვაშინგტონში, საქართველოს საელჩოში, გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე უმასპინძლა. ელჩებმა ქართულ-ამერიკული ურთიერთობების პრიორიტეტები მიმოიხილეს. საქართველოს ელჩი ფიცის დადების ცერემონიასაც დაესწრო.

კელი დეგნანი არის მრჩეველი-დესპანის რანგის კარიერული დიპლომატი, რომელიც საქართველოში დანიშვნამდე ევროპასა და აფრიკაში აშშ-ის სამხედროსაზღვაო ძალების სარდლის პოლიტიკურ მრჩევლად მუშაობდა. ამ პოზიციის დაკავებამდე, კელი დეგნანი მსახურობდა აშშ-ის დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელის მოადგილედ იტალიაში, აღმასრულებელი მდივნის მოადგილედ სახელმწიფო დეპარტამენტში და აშშ-ის დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელის მოადგილედ კოსოვოში.

25-წლიანი კარიერის განმავლობაში კელი დეგნანი მუშაობდა პოლიტიკურ მრჩევლად ნატოში აშშ-ის წარმომადგენლობაში, უფროსი სამოქალაქო წარმომადგენლის პოზიციაზე ავღანეთში სალერნოს ბრიგადის საბრძოლო ჯგუფში და თურქეთში აშშ-ის დიპლომატიური მისიის პოლიტიკური მრჩევლის მოადგილედ. კელი დეგნანი იყო სახელმწიფო მდივნისა და პოლიტიკურ საკითხებში სახელმწიფო დეპარტამენტის მდივნის თანაშემწის სპეციალური მოადგილე. მას მიღებული აქვს ჟურნალისტიკის ბაკალავრის ხარისხი ნორსვესტერნის უნივერსიტეტში და სამართლის დოქტორის ხარისხი სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტში. კელი დეგნანი არის სახელმწიფო მდივნის ESA ჯილდოს მფლობელი და საუბრობს იტალიურ, ფრანგულ, თურქულ და ურდუს ენებზე.

„რუსთავი-2“-ში ქიბარ ხალვაშის 60-პროცენტიან წილს ყადაღა მოეხსნა

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ ჯარჯი აქიმიძისა და დავით დვალის სარჩელი ქიბარ ხალვაშისა და პაატა კარსანიძის მიმართ წილის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის, საჯარო რეესტრში წილის რეგისტრაციის გაუქმებისა და შპს-ს წილის მესაკუთრედ ცნობის მოთხოვნის თაობაზე განუხილველად დატოვა. ინფორმაციას ამის შესახებ საქალაქო სასამართლო ავრცელებს.

სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ მოსარჩელე მხარემ ვერ უზრუნველყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნის დაცვა. კერძოდ, სარჩელისა და თანდართული მასალების მოპასუხისთვის ჩაბარება და კანონით დადგენილ ვადაში ჩაბარების ან ჩაუბარებლობის დამადასტურებელი დოკუმენტების სასამართლოში წარმოდგენა.

„მოსარჩელის მხრიდან კანონით დადგენილი ნორმის მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო, სასამართლომ მოცემულ საქმეზე გააუქმა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 18 ოქტომბრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლის საფუძველზეც ყადაღა დაედო შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ის პარტნიორის ქიბარ ხალვაშის კუთვნილ 60% წილს.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ წელსაც 40 მლნ ლარით ფინანსდება

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ბიუჯეტი, რომელიც რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ფინანსდება, შარშანდელის მსგავსად, წელსაც 40 მლნ ლარია.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციით, პროექტების ჩამონათვალში მცირე ცვლილებები შევა და არსებულ კატეგორიებს გზისპირა მოსაცდელები დაემატება. კორექტივები დოკუმენტში, საქართველოს მთავრობის დადგენილების თანახმად, გასულ წელს შერჩეული პროექტების ანალიზის შედეგად და საჭიროებებიდან გამომდინარე განისაზღვრა.

უწყების ცნობით, 2019 წელს პროგრამის ფარგლებში, 4 800-მდე ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა. მუნიციპალიტეტებში სამი ათასზე მეტი საერთო კრება ჩატარდა და მოსახლეობამ პროექტები თავად შეარჩია. აქედან, გურიაში განხორციელდა 376 პროექტი, იმერეთში — 1042 პროექტი, კახეთში — 366 პროექტი, მცხეთა-მთიანეთში — 536 პროექტი, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში — 275 პროექტი, სამეგრელო-ზემო სვანეთში — 1061 პროექტი, სამცხე-ჯავახეთში — 309 პროექტი, ქვემო ქართლში — 399 პროექტი და შიდა ქართლში — 447 პროექტი.

ვად დავით ნარმანიამ უბედური შემთხვევების რიცხვის ზრდა დაასახელა და მოსახლეობას მეტი სიფრთხილისკენ მოუწოდა.

„მნიშვნელოვანია, რომ შემუშავდა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების პროექტები, რომელთა მიღებაც ეტაპობრივად იგეგმება. ჩვენ რეკომენდაცია მოვამზადეთ და გადავეცით ეკონომიკის სამინისტროს, იმისთვის რომ აისახოს და გათვალისწინებული იქნას ყველაფერი. ერთია მარეგულირებელი ნორმები, მეორე კი — მოსახლეობის მხრიდან გამოჩენილი სიფრთხილე. ამიტომ უნდა ვიყოთ ყურადღებით, ყველა სახლს, რომელსაც გაზის წვის კამერა აქვს, უნდა ჰქონდეს გადმოღებული სარკმელი, ასევე დაუშვებელია გარეწვის დანადგარების არსებობა სახლში“ — ამბობს ნარმანია.

მარეგულირებელი კომისია გაზმომარაგების სექტორში წელს პირველად გადავიდა სამწლიანი ტარიფების დადგენაზე, ისევე როგორც ეს ელექტროენერგიისა და წყალმომარაგების სექტორში მოხდა. დავით ნარმანიას თქმით, სამწლიან ტარიფებზე გადასვლას სტაბილურ გარემოს შექმნის, როგორც მომხმარებლისთვის, ისე კომპანიისთვის.

„ერთი მხრივ, მომხმარებელს შეუძლია, მშვიდად იყოს, რადგან იცის, რომ სამი წელი ტარიფი უცვლელი იქნება (თუ ეკონომიკაში, რაღაც სასწაული არ მოხდა ნეგატიური თვალსაზრისით) და მეორე მხრივ, ეს ფაქტორი ასევე მნიშვნელოვანია კომპანიებისთვის სტაბილურობის თვალსაზრისით, რადგან მათ უმტკიცდებათ სამწლიანი საინვესტიციო გეგმა და იციან, რამდენი უნდა დახარჯონ და რა შემოსავლები მიიღონ“ — ამბობს დავით ნარმანია. მისი თქმით, ტარიფები უცვლელია და არ გაზრდილა.

„ჩვენი მხრიდან ინვესტიციების ტარიფში ასახვა ხდება, წინასწარ დაგეგმილი ინვესტიციების შეფასება და მისი გათვალისწინება. „თბილისი ენერჯი“ სამი წლის განმავლობაში 60-მილიონიან ინვესტიციას ჩადებს სისტემის განვითარებისა და მდგრადობის უზრუნველსაყოფად. პატარა კომპანიებს მცირე საინვესტიციო გეგმა დავუმტკიცეთ. გეგმა არ არის დამტკიცებული „სოკარისთვის“ და დადგენილია დროებითი ტარიფი.

სემეკის სხდომა ყურადსაღები იყო არა მხოლოდ იმიტომ, რომ რეგიონებში ბუნებრივი აირის ფასი უცვლელი დარჩა, არამედ იმითაც, რომ ენერგეტიკის სფეროში ზოგიერთ ლიცენზიანტ კომპანიას ტარიფები შევუმცირეთ. საუბარია სამ კომპანიაზე და სამივეს შემთხვევაში ეს დაკავშირებულია დაგეგმილ და რეალურად განხორციელებულ ინვესტიციებს შორის სხვაობასთან. დაგეგმილი იყო მეტი და წინასწარ აისახა ტარიფში, თუმცა რეალურად, მას მერე, რაც ამ მოცულობის ინვესტიცია არ განხორციელდა, კომისიამ უკან წამოიღო და შეამცირა ტარიფი,“ — აღნიშნავს დავით ნარმანია.

ნათია კეკენაძე

თეა წულუკიანი: ის ეპოქა წარსულს ჩავაბარეთ

კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლების და სხვა პირების საარჩევნო მიზნებისთვის გამოყენების პრინციპებით „ნაციონალური მოძრაობა“ მუშაობდა, — ამის შესახებ ვიცე-პრემიერმა, იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა განაცხადა ჟურნალისტების კითხვაზე.

ჟურნალისტებმა იუსტიციის მინისტრს კითხვა დაუსვეს ოპოზიციის განცხადებებთან დაკავშირებით, რომ „ქართულმა ოცნებამ“ შესაძლოა, საარჩევნო პერიოდში ლავასოღლი (მინდია გორაძე) გამოიყენოს. მედიის წარმომადგენლებმა თეა წულუკიანს ჰკითხეს, რატომ არ მოითხოვა საქართველომ ლავასოღლის ექსტრადირება.

თეა წულუკიანის თქმით, არასწორია განცხადებები, რომ ქართულმა მხარემ ლავასოღლის ექსტრადირება არ მოითხოვა.

„ის, რომ ქართულმა მხარემ არ მოითხოვა მისი ექსტრადიცია, სიმართლეს არ შეესაბამება, რადგან ის დაკავებული იყო თურქული მხარის მიერ სწორედ იმიტომ, რომ ქართულმა მხარემ მისი ექსტრადიცია მოითხოვა. პროცედურები კვლავ მიმდინარეობს. რაც შეეხება პირის, თუ სხვა კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლის საარჩევნო მიზნებისთვის გამოყენებას, რა თქმა უნდა, სწორედ ამ პრინციპებით მუშაობდა „ნაციონალური მოძრაობა“. მაშინდელი ციხეების მთელი სისტემა აწყობილი იყო ისე, რომ პრობაციონერების დაშინებითა და კრიმინალური ავტორიტეტების გამოყენებით ზეწოლა მოეხდინათ „ნაციონალებს“ ამომრჩევლის ნებაზე. ეს ეპოქა ჩვენ 2012 წლის პირველ ოქტომბერს წარსულს ჩავაბარეთ“...

„ნაცმოძრაობა“ იქნება თუ არა დარბაზში, კანონი უნდა აღსრულდეს!

ჩვენ ვართ პასუხისმგებელი სამართლის დაცვაზე ამ ქვეყანაში და დარწმუნებული ვარ, ხვალაც ჩვენ მოგვთხოვს პასუხს მთელი საზოგადოება კანონიერების დაცვაზე ამ სახელმწიფოში, ამიტომ ამაზე უარს ნუ ვამბობთ, — ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ გია ვოლსკიმ პარლამენტის სხდომაზე განაცხადა, სადაც ნიკა მელიას ადგილმონაცვლედ ბადრი ბასიშვილის კენჭისყრის საკითხი განიხილებოდა. მისი თქმით, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, „ნაცმოძრაობა“ იქნება თუ არა დარბაზში.

„რამდენჯერმე ითქვა სიტყვა ფორმალური, მაგრამ რეალურად მაშინ ჩვენ ოპოზიციიდან არც ვიცე-სპიკერები, არც კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეები არ უნდა ავირჩიოთ, უნდა გავაჩეროთ პარლამენტის საქმიანობა. გარდა ამისა, როგორც ითქვა, არჩევნებია ჩასატარებელი. ვინც ამ პოლიტიკურ ძალას უჭერს მხარს იმის წინაშეც ჩვენ ვართ ვალდებულები, აბა ეს ფრაქცია მოვა თუ არ მოვა, ხმას მისცემს თუ არ მისცემს, რა მნიშვნელობა აქვს. პასუხისმგებლები ჩვენ ვართ. ამიტომ გვარებს არა აქვს მნიშვნელობა, ჩვენ კანონი უნდა აღვასრულოთ, ამას გვთხოვს საზოგადოება და რაც არ უნდა ემოციურად დატვირთული იყოს ეს ვითარება, რეალობა ეს არის“, — განაცხადა ვოლსკიმ.

რა უნდათ თურქულ კომპანიებს აფხაზეთში

ოკუპირებული აფხაზეთის აკვატორიაში, ბიჭვინთის სანაპიროს სიახლოვეს, ისევ გრძელდება უკონტროლო თევზჭერის პროცესი, რომელშიც ისევ ჩართული არიან თურქული სეინერები. 2020 წლის 13 იანვრით დათარიღებული ვიდეომასალა „რადიო თავისუფლების“ რუსულენოვანმა პროგრამამ, „ეხო კავკაზამ“ მოიპოვა. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ზოგად კომენტარს აკეთებს.

რა ხდება აფხაზეთში? რას ამბობენ თბილისში? როგორ არღვევენ თურქული სეინერები კანონს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ?

ვიდეომასალაში ასახულია თევზჭერის პროცესი ბიჭვინთის აკვატორიაში, ე.წ. რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო აგარაკების ტერიტორიაზე.

„მათ არათუ მხოლოდ თევზჭერის, არამედ ამ ტერიტორიაზე გადაადგილების უფლებაც არა აქვთ“ — ისმის ვიდეოში შეშფოთებული ავტორის ხმა. ის ოკუპირებული აფხაზეთის თევზჭერანადირობის სპორტის ფედერაციის ხელმძღვანელი ალბერტ ბონდარენკოა. გემების გარშემო თოლიების უპრეცედენტო სიმრავლით ბონდარენკო ასკვნის, რომ თევზჭერა მეტად მასშტაბურ სახეს ატარებს.

კადრში კარგად ჩანს სანაპიროსთან საკმაოდ ახლოს მოძრავი რამდენიმე სეინერი, რომელთაგან ერთს აქვს თურქული წარწერა — „შაჰინ ბალიკჩილიკი“ (Sahin Balikcilik).

- **ინტერნეტსივრცეში იძებნება ამავე სახელწოდების თურქული კომპანია, რომელიც ზღვის პროდუქტების ბიზნესის სრული ციკლით დაკავებული უმსხვილესი თურქული კომპანიის ჯგუფში შედის;**
- **კომპანიის დამაარსებლია მეჰმედ შაჰინ ჩაკანი, წარმატებული, მსხვილი ბიზნესმენი, რომელსაც სხვადასხვა წყარო იზმირის მეთევზე ბიზნესმენების ასოციაციის პრეზიდენტად მოიხსენიებს.**

ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც ოკუპირებული აფხაზეთის აკვატორიაში თევზჭერის პროცესში ჩართული არიან თურქული სეინერები. **ბიჭვინთის, ლიძავისა თუ გაგრის მოსახლეობამ გასულ წლებში არაერთხელ გამართა ხმაურიანი საპროტესტო აქციები.**

საპროტესტო აქციების შედეგად, დე ფაქტო რესპუბლიკის ხელისუფლება 2015 წელს იძულებულიც კი გახდა, დროებითი მორატორიუმი დაეწესებინა. მაგრამ პროცესი ისევ გრძელდება.

აფხაზი აქტივისტების მთავარი შიში სხვადასხვა სახეობის თევზის პოპულაციების მოსპობასა და ეკოსისტემის განადგურებას უკავშირდება.

მაგალითად, როგორც ბონდარენკო ეუბნება „ეხო კავკაზას“ ადგილობრივ კორესპონდენტს:

- **თუკი (საერთაშორისო სტანდარტებით) მაგალითად ქაფშიის შემთხვევაში სეზონზე მხოლოდ საერთო სავარაუდო რაოდენობის 25%-ის დაჭერაა ნებადართული, აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება კვოტებს 2/3-მდეც კი ზრდის;**
- **პროცესი უკონტროლოა და არავის არასოდეს დაუზუსტებია, შეესაბამება თუ არა დაჭერილი თევზის წონა წინასწარ განსაზღვრულ კვოტებს;**
- **ხშირად თევზჭერა ნაპირთან ახლოს, დაშვებული 500-მეტრიანი დისტანციის დარღვევით ხდება;**
- **გემები ანადგურებენ ფსკერზე არსებულ ფლორასა და ფაუნას — ანგრევენ ეკოსისტემას;**
- **აფხაზეთში თევზის გადამამუშავებელი შვიდი საწარმო მუშაობს, მაშინ როცა ადგილობრივ ეკოსისტემას სამ საწარმოზე მეტის უზრუნველყოფა არ შეუძლია.**

ადგილობრივების განცხადებით, თევზის რეწვას უხეში დარღვევებით აწარმოებენ თურქული კომპანიები. თუმცა ჯარიმის მოცულობა იმდენად მცირეა (3 ათასი რუბლი), რომ ზღვაში წვეთს წარმოადგენს შემოსავალთან შედარებით და ამიტომ თავს არავინ იკავებს.

რას ამბობენ თბილისში?

იმისთვის, რომ ამა თუ იმ უცხოურმა (ამ შემთხვევაში — თურქულმა) კომპანიამ არ დაარღვიოს საქართველოს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ, ნებართვა თბილისმა უნდა მისცეს.

შავ ზღვაზე, საქართველოს ტერიტორიულ წყლებში, თევზჭერისთვის ლიცენზიებს გასცემს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. ლიცენზიები გაიცემა კონკრეტული მონაკვეთების მითითების გარეშე.

როგორც უწყებაში უთხრეს „რადიო თავისუფლებას“:

- **„2010 წლიდან თევზჭერის უფლება მხოლოდ ქართველ ლიცენზიანტებს აქვთ“;**
- **„ამჟამად ლიცენზიას არ ფლობს არც ერთი თურქული კომპანია“.**

საგარეო საქმეთა სამინისტრომ თავი შეიკავა ვიდეომასალაში ასახული კონკრეტული ფაქტის კომენტირებისგან. თუმცა ზოგადი სახით განგვიცხადეს შემდეგი:

„რაც შეეხება თურქული კომპანიების საკითხს, თუ ასეთს ადგილი აქვს და ჩვენ გვაქვს შესაბამისი ინფორმაცია, მაშინ ამ საკითხს ვაყენებთ შეხვედრებზე შესაბამის მხარეებთან“.

„რადიო თავისუფლებამ“ მიმართა ასევე შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს. დაგვპირდნენ, რომ პასუხს მოგვაწვდიდნენ, მაგრამ ჯერჯერობით უშედეგოდ.

როგორც ყოფილი სახელმწიფო მინისტრი, კონფლიქტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი ეუბნება „რადიო თავისუფლებას“, თურქული კომპანიები პოსტზე მისი ყოფნის დროსაც იყვნენ ჩართული აფხაზეთის აკვატორიაში თევზის რეწვის პროცესში; თუმცა ხშირ შემთხვევაში მათ **„ქართველი პარტნიორების საშუალებით ჰქონდათ მოწესრიგებული ურთიერთობები თბილისთან“.**

- **„მერე, როდესაც კერძო კომპანია შედიოდა უკვე აფხაზეთში, იმას ვეღარავინ აკონტროლებდა — როგორ ალაგებდა ურთიერთობებს ადგილზე“;**
- **„კორუფციაა იქ (აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე) და არაფრის გაკეთება არ უჭირდათ ამ კერძო კომპანიებს — სადაც უკანონო ტერიტორია და უკანონო ურთიერთობებია, ხერხდება უკანონო გარიგებების დადებაც“.**

2019 წლის თებერვალში, ოფიციალურმა სტრუქტურამ „ათინათთან“ სწორედ ლიცენზიის ქართველი მფლობელის პარტნიორებად (ქვეკონტრაქტორებად) მოიხსენია ის თურქული კომპანიები, რომელთა სეინერებიც თევზაობდნენ ანაკლიაში.

რაც შეეხება ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ საქართველოს კანონის დარღვევას, ზაქარეიშვილის თქმით, ცალკეული ფაქტები არ უნდა მივაწეროთ ანკარას, რადგან თურქეთი ყოველთვის მტკიცედ უჭერდა და უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას — „ვიცი, რომ თურქეთის სახელმწიფო მკაცრად აფრთხილებს კერძო კომპანიებსაც — არ დაარღვიონ საქართველოს კანონი“.

ლალი კუნჭულია

ძველებს ეყოფათ, ახლა სხვები დაისვენებენ...

წყნეთის „სამთავრობო აგარაკები“ 55.7 მილიონ ლარად იყიდება

პროექტის „100 საინვესტიციო შეთავაზება ბიზნესს“ ფარგლებში, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ ელექტრონულ აუქციონზე დაბა წყნეთში არსებული სამთავრობო რეზიდენცია — აგარაკები გამოიტანა.

წყნეთის სამთავრობო რეზიდენცია (13 შენობა-ნაგებობა) განთავსებულია 89,978 კვ.მ. ტერიტორიაზე, რომლის საწყისი ღირებულება 55,711,500 ლარად სსიპ „ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ“ შეაფასა.

საინვესტიციო პირობებით, მყიდველი ვალდებული იქნება, ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 36 თვეში აგარაკის მთლიან ტერიტორიაზე ან მის ნაწილზე ააშენოს სასტუმრო. ამასთან, მყიდველს შეუძლია განახორციელოს არსებული შენობების დემონტაჟი ან რეკონსტრუქცია. ინვესტიცია, რომელიც მყიდველმა პროექტში უნდა განახორციელოს, არანაკლებ 20 მილიონი ლარია. პროექტის განხორციელება შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს და ამავე დროს, ამით ხელი შეეწყობა მომიჯნავე ტერიტორიის ეკონომიკურ განვითარებას.

წყნეთის აგარაკები ცნობილია თავისი გამწვანებით და წიწვოვანი ხეებით. საპრივატიზებო პირობებში ცალსახადაა მითითებული, რომ ტერიტორიის განაშენიანება გენერალური გეგმის შესაბამისად უნდა განხორციელდეს, რაც მწვანე საფარის სრულად დაცვას ითვალისწინებს.

პრივატიზაციის უპრეცედენტო და მასშტაბური პროექტის „100 საინვესტიციო შეთავაზება ბიზნესს“ ფარგლებში 100-ზე მეტი კომერციულად მიმზიდველი საპრივატიზებო ობიექტი აუქციონზე გამარტივებული პროცედურებით არის გამოტანილი.

გამარტივებული პროცედურა გულისხმობს უკვე გამზადებულ საინვესტიციო პაკეტებს, მათ შორის უძრავი ქონების განვითარების შესაძლებლობას გენერალური განაშენიანების გეგმის გათვალისწინებით. ასევე წინასწარ არის მოგვარებული ყველა იურიდიული საკითხი, როგორიცაა შეფასება, ქონების რეგისტრაცია, საზღვრების დაზუსტება და სხვა.

აუქციონზე გასაყიდი ქონების საერთო საწყისი ღირებულება 150 მილიონი ლარია. პროექტის განხორციელების შედეგად 2 500 ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნება, მოსალოდნელი ინვესტიციის მოცულობა კი, დაახლოებით 200 მლნ ლარი იქნება.

აუქციონი იქნება მუდმივად შევსებადი და ეტაპობრივად დაემატება ახალი ობიექტები. საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა მოიცავს ქვეყნის მასშტაბით სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას და მოიცავს თბილისსა და საქართველოს 45-მდე ქალაქსა და მუნიციპალიტეტს. საპრივატიზებო ნუსხაშია სამრეწველო ობიექტები, სასაწყობო და სატბორე მეურნეობები, სამედიცინო დაწესებულებები, სპორტული ინფრასტრუქტურა, სასტუმროები და დეველოპერებისთვის საყურადღებო სხვა სახელმწიფო ქონება.

„წლის ტურისტული დანიშნულების ქვეყანა“

ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკიში გამართულ ნორდიკულ ქვეყნებში უმსხვილეს საერთაშორისო ტურისტულ გამოფენა-ბაზრობაზე „MATKA 2020“ საქართველო „წლის ტურისტული დანიშნულების ქვეყნად“ დასახელდა.

საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, მნიშვნელოვანია, რომ გამოფენის სამიზნე ბაზარი მოიცავს არა მხოლოდ ფინეთის ტურისტულ სეგმენტს, არამედ ნორდიკულ და ბალტიის ქვეყნებსაც. გამოფენაზე საქართველოს ტურიზმის ადმინისტრაცია მესამე წელია, აქტიურად მონაწილეობს. წელს, ერთიან საპრეზენტაციო სტენდზე წარდგენილია 9 კომპანია და ორგანიზაცია: აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, შპს „აჭარა-ტური“, Georgia in Contact, Caucasus Travel, World Express, Georgian Travel Group, Voyage Tours, APG, Iberia Tours Plus.

„აღსანიშნავია, რომ გამოფენას ესწრება 80 000-მდე ვიზიტორი, ხოლო ღონისძიებაზე მონაწილეობს 22 500 ტურიზმის პროფესიონალი 86 ქვეყნიდან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფინეთიდან შემოსული ვიზიტორების რაოდენობა 12 თვის მონაცემებით გაზრდილია 17.7 %-ით წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან“, — აცხადებენ საგარეო უწყებაში.

დასავლეთმა რომ შეგვამჩნიოს, საჭიროა მოვიტანგეთა სისხლი!..

რაც შეეხება XX ს-ის ბოროტებას, რაც განხორციელდა დამოუკიდებელ საქართველოში, ამ მხრივ, სხვადასხვა დროს, მკაცრად განვიკითხე საქართველოს მეთაურები დაწყებული ნოე ჟორდანიათი და დამთავრებული სააკაშვილით (გ. მარგველაშვილს უფრო კომიკურ პიროვნებად მივიჩნევ). აქვე ვიხსენებ დავით გურამიშვილის სიტყვებს:

მართალია, მძრახველს ძრახვა
თვით კი ავად მოუხდების,
მაგრამ ფარვა სიავისა
ქვეყანას არ მოუხდების!
ჭეშმარიტად ცოდვა უძღვის
კაცსა კაცის განმკითხავსა,
მაგრამ ავზედ ავი ითქმის,
კარგს არავინ გაჰკიცხავსა!

აქვე ვითვალისწინებ ამერიკელი ისტორიკოსის რიჩარდ პაიპსის სიტყვებს, რომელსაც იგი წარმოთქვამს „რუსეთის რევოლუციის“ წინასიტყვაობაში: **„ტრაგედიის წინაშე ისტორიკოსი სრულიადაც არ არის ვალდებული, დარჩეს სრულიად გულგრილ დამკვირვებლად, და თუ ზოგჯერ ვერ ვახერხებდი, დამემალა საკუთარი აღელვება, ეს არ უნდა იყოს აღქმული როგორც ფაქტებისადმი „არამეცნიერული“ მიდგომა. არისტოტელე, რომელიც ყველაფერში ზომიერებას ასწავლიდა, აქ აკეთებდა გამონაკლისს, ამბობდა რა, რომ, „მათ, რომლებსაც არ აჯავრებთ ის, რაც გასაჯავრებელია, სულელებად უნდა ჩაითვალონ“. და აქ, სადაც ადამიანებს შორის გამეფებულია აშკარა უსამართლობა, შესაფერისია სწორედაც მრისხანება“.**

ასევე გასათვალისწინებელია ჟამთააღმწერლის აზრი ისტორიკოსის ვალდებულებაზე: **„რამეთუ ჟამთააღთმწერელობა ჭეშმარიტის მეტყველება არს, და არა თუალახმა ვისთვისმე“.**

ახლა მკითხველისთვის მაინც გასაგები რომ იყოს, რა მხრივ განვიკითხავდი დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტებს, საამისოდ მოვუხმობ გერმანელი პოლიტოლოგის **დოლფ შტერნებერგერის** საინტერესო წიგნს სათაურით **„პოლიტიკის სამი ფესვი“** (მაინის ფრანკფურტი, 1978). ამ წიგნში ავტორი პოლიტიკას განიხილავს სამ განზომილებაში — „პოლიტოლოგიკურად“, „დემონოლოგიკურად“ და „ესქატოლოგიკურად“. ეს სამი ლოგიკა მკვეთრად განსხვავდება ურთიერთისაგან. **პირველს** მიზნად აქვს დასახული ზრუნვა საზოგადო კეთილდღეობისთვის სახელმწიფოში. ამის თავკაცად ავტორი არისტოტელეს მიიჩნევს. **მეორე,** დემონოლოგიკა, მიზნად ისახავს საკუთარი თავის დამკვიდრებას (დემონის პოზიცია), ბრძოლას მოწინააღმდეგეებთან და მათ დაქვემდებარებას, რაც საბოლოო ჯამში მის გაბატონებას ემსახურება. აქ ავტორი მაკიაველის ეყრდნობა. **მესამე,** ესქატოლოგიკა, რომლის მამამთავრად ავგუსტინეა მიჩნეული, მიზნად ისახავს წმინდანთა შეკრებას, რომლებიც სრულიად განსხვავებული, იმქვეყნიური, ჰარმონიული სამყაროსკენ ილტვიან.

დიდად სამწუხაროდ, საქართველოს უკლებლივ ყველა პრეზიდენტი, მეტ-ნაკლებად, დემონოლოგიკას განასახიერებენ.

XX საუკუნეში დიდი ბოროტება გახლდათ ილია ჭავჭავაძის მკვლელობა, რომელშიც ისტორიკოს გივი ჟორდანიას მტკიცებით, ბრალი მიუძღოდათ როგორც ნოე ჟორდანიას, ასევე ფილიპე მახარაძეს (იხ. გივი ჟორდანია, მარტვილობა მესიისა, თბ., 2005).

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 8.

ხოლო ისტორიკოსმა ლევან სანიკიძემ სამოქალაქო ომის გაჩაღებაში ბრალი დასდო ზვიად გამსახურდიას — **„როგორ დაჰყო და დაანაკუწა „ერი თვისი“, სრული კაცთმოძულეობით „მტრებად“ და „მოყვრებად“, „აგენტებად“ და „კონტრაგენტებად“. როგორ მოუწოდა შიშით ატანილმა თავის „მოყვარე საქართველოს“ თავის „მომტერე საქართველოს“ წინააღმდეგ სისხლის საქცევად“** (იხ. ლევან სანიკიძე, 309 ქართული სირცხვილი, თბ., 1992, გვ. 3).

ახლა პასუხგასაცემია კითხვა, თუ რატომ შემოდის აწმყოში ეს ბოროტება, თუნდაც სწორედ იქ, ქუჩაში, სადაც ამოხეთქა მძულვარებამ და სიბინძურემ, და რომლის არაღგვა პირისაგან მიწისა, ვისაც ეს ძალუძს, არანაკლებ ბოროტებაა.

მე არ მეგულება სხვა პასუხი, გარდა თეოლოგიური ხასიათისა, რომლის გადმოცემისას მივუთითებ მხოლოდ ნეტარი ავგუსტინეს შეხედულებაზე, როდესაც ის მსჯელობს პირველცოდვაზე (ადამისა და ევას შეცოდებაზე). პირველ შეცოდებამდე, ავგუსტინეს აზრით, ადამიანს თავისუფლება გააჩნდა მთელი სისავსით. მისი ნება იყო თავისუფალი არა მარტო თავის ქმედებებში, არამედ შეეძლო, სიკეთესა და ბოროტებას შორის არჩევანი მოეხდინა. მას გააჩნდა როგორც ფორმალური თავისუფლება, ასევე — სიკეთის არჩევის უნარიც. მაგრამ თავისუფლებაში ძევს აგრეთვე დაცემის შესაძლებლობა. პირველ ცოდვას ამიტომ გააჩნდა თავისი მიზეზი თავისუფალ ნებაში. დაცემისას ადამიანი superbia-ს გამო (ქედმაღლობის) ზურგს აქცევს ღმერთს და წარემართება ბოროტისაკენ. მისი caritas-ი (სიყვარული) იცვლება cupiditas-ით (ვნებიანობა — ჟინით). იგი კარგავს მადლის საჩუქარს და ამით თავისუფლებას — აირჩიოს სიკეთე. ადამიანი ვნების ბადეშია გახლართული და მას წარმართავს ხორციელი ნდომა. ეს არის ის მდგომარეობა, რომლის შეცვლაც მას თავისი ძალებით არ ძალუძს, თუ არ მიმართავს ღმერთს. თუმცა ნებას ცალკეულ შემთხვევებში შეუძლია ნდომის გადალახვა, მაგრამ ნების ძირითადი მიმართულება უცვლელი რჩება. ადამიანი თავს ვერ აღწევს ნდომის გავლენის სფეროს, რადგან იგი ამ მდგომარეობაში თავისი ნებისთვის საბოლოო მიზნად სახავს არა ღმერთს და მისკენ ლტოლვას, არამედ მიწიერსა და ამქვეყნიურს.

არის კიდევ ასეთი მოვლენა, რასაც შეიძლება, ეწოდოს „წარსულის მძლავრობა აწმყოზე“. ეს განსაკუთრებით კარგად არის წარმოჩენილი ანრი ბერგსონის „შემოქმედებით ევოლუციაში“. ცნობიერებისთვის ისტორიული წარსული არ არის მკვდარი წარსული, არამედ იგი წარმოადგენს ცოცხალ ძალას, რომელიც ზემოქმედებს აწმყოზე და განსაზღვრავს მომავალს. ბერგსონის მიხედვით, **ისტორია თოვლის ზვავის მსგავსია, რომელიც მოგორავს და სულ უფრო და უფრო იზრდება და ინარჩუნებს თავის თავში ყოველივე გზად შეძენილს. ამიტომ „წარსული შენარჩუნებულია აწმყოში“. ჩვენდა სავალალოდ — მძლავრი ბოროტი წარული. ეს ბოროტება ისე ძალუმია, რომ ის მკვიდრდება ქართულ ხალხურ და კლასიკურ პოეზიაშიც: „კაცის გული ისეთია, ვით მორევი შავი ზღვისა...**

თანამედროვე ფილოსოფოსი **კურტ ჰიუბნერი** მიიჩნევს, რომ **„ისტორიული ახსნა თითქოს დაფუძნებულია უფრო ღრმა საფუძველზე, რომელიც უკვე აღარ ექვემდებარება არავითარ რაციონალურ ახსნას... თვით ისიც, რაც შეიძლება ისტორიულად აიხსნას, საბოლოო ჯამში, რჩება აუხსნელი“. „ყოველი შემდგომი შესაძლო კონკრეტიზაცია“** — განაგრძობს ჰიუბნერი — **„მაგალითად, ღვთის შემოყვანის გზით, საბოლოოდ დაანგრევდა მეცნიერების ზღვრებს“** (Kurt Hübner, Das Nationale, Koln, 1991).

მაგრამ ქრისტიანისთვის დღესაც ურღვევ ჭეშმარიტებად რჩება ჟამთააღმწერლის რწმენა: **„რამეთუ მსჯავრნი და განგებულებანი ღმრთისანი გამოუკულეველ არიან“.**

ახლა თვალი გადაავლეთ სააკაშვილის მეხოტბე, ქუჩაში გამოსულ ამ მრავალპარტიულ ჰიდრას, ვითომ „სამართლიანობისთვის მებრძოლ“, სინამდვილეში პარლამენტში მოხვედრის სურვილით, ეგოისტური მიზნებით მათი სიძულვილისგან დამახინჯებულ სახეებს და იკითხეთ: იცვლება რომელიმე მათგანში ბოროტი ნება caritas-ის (სიყვარულის) საშუალებით კეთილ ნებაზე? ან როდესაც ქალი, ოთხი შვილის დედა, სანაგვე მანქანას გამოეკიდება და ზედ შეახტება „პროტესტის გამოხატვის“ ნიშნად, იგი ხომ უკვე საბრალო თოჯინაა ბოროტების კლანჭებში!

რა შორს არის მისგან პოეტის სათაყვანებელი „გმირი თამარ ვაშლოვნელი და მაია წყნეთელი“.

წარმოიდგინეთ მმართველი პოლიტიკური ძალა, რომელიც ასეთ, ე.წ. ოპოზიციასთან წლების მანძილზე საერთო ენის გამონახვას ცდილობს და მათ სადებატოდ პარლამენტში იწვევს, რომელიც ამ უკანასკნელმა პირდაპირი და სულიერი გაგებით მოწამლა და გაათახსირა, რას უნდა წარმოადგენდეს ეს მმართველი ძალა?! აქ ძალაუნებურად მახსენდება ეპიკურეს გამოთქმა ღმერთზე (Epikur, Ausgabe usener, Nr. 374): **„თუკი ღმერთს არ სურს ბოროტების მოშორება, მაშინ იგი არის ავის მოსურნე; მაგრამ თუკი მას არ შეუძლია მისი მოშორება, მაშინ იგი არის სუსტი“.** ჩასვით ამ წინადადებაში „ღმერთის“ ნაცვლად ჩვენში გაბატონებული მმართველი ძალა და მივიღებთ ერთდროულად სახიფათო და გულის ამრევ ვითარებას. ასეთი „ძალა“ აქ დიდხანს ვერ გაძლებს, მაგრამ რა დავაშავეთ ჩვენ?

ადვილი შესამჩნევია, რომ ჩვენს სინამდვილეში ორი საპირისპირო რამ ხდება. ერთი მხრივ გვყავს ხელისუფლება, მთავრობის წევრები, რომლებიც ტაძარში შედიან, პირჯვარს იწერენ და სანთელს ანთებენ. მეორე მხრივ, იგივე ხელისუფლება დაუოკებლად ევროპისკენ ისწრაფვის („მე ვარ ქართველი და, მაშასადამე, ვარ ევროპელი!“). ამ დროს ცნობილია, თუნდაც იმავე კურტ ჰიუბნერის წიგნიდან, რომ **„ქრისტიანობა აღარ წარმოადგენს ზოგად ევროპულ რეალიას. ქრისტიანობას აღარ გააჩნია არც მისთვის ოდესღაც დამახასიათებელი ძალაუფლება“.** ამიტომ საუბრობს **სერგეი ავერინცევი** (1937-2004) ევროპაში შემორჩენილ ქრისტიანულ ოაზისებზე და მხოლოდ ოაზისებზე: **„ოაზისები, მხოლოდ ოაზისები ფართოდ გადაჭიმულ უდაბნოში“; და „უდაბნო იზრდება, როგორც თავის დროზე იწინასწარმეტყველა ნიცშემ“.**

ავერინცევის აზრით, სახიფათო უკვე ათეიზმი კი არ არის ქრისტიანობისთვის, არამედ ის, რომ „რადიკალური რელატივიზმი და პრაგმატიზმი ცხოვრების მოდური სახეობის პრაქტიკასთან შეთავსებით აღმოაცენებს სულის ძალზე სპეციფიკურ მდგომარეობას, რომლის დროსაც საკითხი ღვთის არსებობის შესახებ არ ღებულობს რა უარყოფით პასუხს, კარგავს — ყველა სხვა „საბოლოო“ საკითხთან ერთად — ყოველგვარ სერიოზულობას. ადამიანური ტიპების ფენომენოლოგიის პერსპექტივაში ეს გაცილებით უფრო საშინელია, ვიდრე ათეიზმი“.

დასავლეთის ამ სულიერ დაცემას სხვადასხვა დროს წინასწარმეტყველებდნენ განსხვავებული სახის მოაზროვნეები: **რიუკერტი, დანილევსკი, ლეონტიევი, ფრობენიუსი, გოეთე, ნიცშე,** მაგრამ ვრცლად და ჩამოყალიბებული სახით — **ოსვალდ შპენგლერი.**

ქრისტიანობისთვის შემდეგ საშიშროებად ავერინცევი მიიჩნევს ნაციონალიზმს. მისი სიტყვებით ექსკომუნისტურ ქვეყნებში წარმოებს **„ნაციონალიზმის კატასტროფული აფეთქება“,** მისი გაფურჩქვნა — ზეაღმავლობის გაგებით. „იდეოლოგიური ვაკუუმის“ პირობებში წინ გამოდის ნაციონალისტური ისტერია!

მკითხველი თავად შეამჩნევს, თუ რამდენად ესადაგება აღწერილი ვითარება დღევანდელ საქართველოს. მაგრამ ამ ვითარებას მე მივიჩნევ ჩვენი ქვეყნის დასჯად. ჟოზეფ დე მესტრის სიტყვებით თუ ვიტყვი: „ყოველი ბოროტება, ან უფრო მკაფიოდ რომ გამოვთქვა, ყოველი ტკივილი სასჯელია... რომელიმე რეალური დანაშაულისა ან პირველცოდვისა გამო“...



ვიქტორ რცხილაძე.

პრეზიდენტის შეწყალების აქტში კრიტერიუმები ძალიან მკაფიოა

არ მსმენია პრეტენზია იმის შესახებ, რომ მსჯავრდებულთა შეწყალების კრიტერიუმები განჭვრეტადი არ არის და არც მე ვფიქრობ, რომ პრეზიდენტის აქტს ამ მხრივ რაიმე ხარვეზი აქვს, — ამის შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა ჟურნალისტებს მსჯავრდებულთა შეწყალების ახალ კრიტერიუმებთან დაკავშირებით განუცხადა.

წულუკიანის აზრით, პრეზიდენტის მიერ საშობაოდ გამოცემულ შეწყალების აქტში კრიტერიუმები ძალიან ნათელია.

„შეწყალების კრიტერიუმები, რაც ჩვენ ყველამ ვიხილეთ წინა წლის დასასრულს პრეზიდენტის აქტში, არის ძალიან ნათელი, განჭვრეტადი და მკაფიო. მე, როგორც იუსტიციის მინისტრს, არ მსმენია არც ერთი პატიმრისგან პრეტენზია იმის შესახებ, რომ კრიტერიუმები განჭვრეტადი არ არის.

რა თქმა უნდა, მსმენია პრეტენზია ჩვენი პატიმრებისგან, რომ შეწყალებულთა უფრო დიდ რიცხვს მოელიან ხოლმე ყოველ დღესასწაულზე, მაგრამ პრეტენზია იმის შესახებ, თითქოს განჭვრეტადი არ არის, პირადად არ მსმენია და არც მე ვფიქრობ, რომ პრეზიდენტის აქტს ამ მხრივ რაიმე ტიპის ხარვეზი აქვს“...

სააკაშვილის პრეზიდენტობისას საქართველოს მოქალაქეობა მიენიჭა რუსეთის 3229, ბინადრობის უფლება კი - 5879 მოქალაქეს



„ამ ვითარებაში, რაც არის ირანში, პირველ რიგში, ჩავკეტავდი საზღვარს და არ შემოვუშვებდი არც ერთ ირანის მოქალაქეს საქართველოში“, – ეს განცხადება „მორბენალმა სტრიქონმა“ მიხეილ სააკაშვილმა „მთავარი არხის“ ეთერში რამდენიმე დღის წინათ გააკეთა.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, უცხოელისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების საკითხს წყვეტს საქართველოს პრეზიდენტი, ამიტომ სააკაშვილის გუშინდელი განცხადების შეფასებისა და შესავლის გარეშე გთავაზობთ ოფიციალურ სტატისტიკას, რომელიც მოიცავს 2005-2013 წლებში: 1. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების საკითხს; 2. ბინადრობის ნებართვის გაცემის და 3. ლტოლვილთა სტატუსის მინიჭების სტატისტიკას.

2005-2013 წლებში საქართველოს მოქალაქეობა მიენიჭა უცხო ქვეყნის 53 067 მოქალაქეს

მიხეილ სააკაშვილმა საქართველოს პრეზიდენტობის ბოლო წელს ყველაზე ფართომასშტაბიანი „კუდის მოქნევის სპეცოპერაცია ჩაატარა“ და 2013 წელს საქართველოს პრეზიდენტმა საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა უცხო ქვეყნის 9 626 მოქალაქეს.

სტატისტიკის თანახმად: 2005-2013 წლებში საქართველოს მოქალაქეობა მიენიჭა 37 462 რუსეთის მოაქალაქეობის მქონე პირს, რაც დაახლოებით ორჯერ აღემატება ყველა სხვა ქვეყნის მოქალაქეზე (15 605 პირი) საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შემთხვევებს. აღნიშნულ პერიოდში საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების თვალსაზრისით გამორჩეულები არიან აგრეთვე თურქეთის (3 464 პირი) და ისრაელის (3 367 პირი) მოქალაქეები.

ხაზგასმითაა აღსანიშნავი, რომ 2008 წელს, აგვისტოს ომამდე და აგვისტოს ომის შემდეგ, სააკაშვილმა საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა რუსეთის 3229 მოქალაქეს. თუ ვინმე განაცხადებს, რომ მოქალაქეობა ქართველებს მიენიჭა, აქვე, ხაზგასმით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მსგავსი მხოლოდ რამდენიმე ფაქტი იყო და ისიც სააკაშვილმა დიდი ზარ–ზეიმით გაახმოვანა.

2005-2013 წლებში თურქეთის მოქალაქეებზე საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შემთხვევების დიდი რაოდენობა განპირობებულია იმ ფაქტით, რომ საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 2013 წელს საპრეზიდენტო ვადის უკანასკნელ თვეებში თურქეთის მოქალაქეობის მქონე ეთნიკური ქართველების უპრეცედენტო რაოდენობას გამარტივებული წესით მიანიჭა საქართველოს მოქალაქეობა. 2013 წელს საქართველოს მოქალაქეობა მიენიჭა დაახლოებით იმდენ თურქეთის მოქალაქეს, რამდენსაც ერთობლივად 2005-2012 წლებში.

ბინადრობის ნებართვის გაცემა

უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად მუდმივი ბინადრობის მოწმობა გაიცემა საქართველოს მოქალაქის მეუღლეზე, მშობელზე, შვილზე, ასევე უცხოელზე, რომელმაც საქართველოში დროებითი ბინადრობის ნებართვის საფუძველზე იცხოვრა ბოლო 6 წლის განმავლობაში. მუდმივი ბინადრობის სახეს წარმოადგენს ასევე საინვესტიციო ბინადრობის მოწმობა. აღნიშნული გაიცემა უცხოელზე, რომელმაც საქართველოში განახორციელა არანაკლებ 300 000 ლარის ოდენობის ინვესტიცია, ასევე მისი ოჯახის წევრზე.

რაც შეეხება დროებითი ბინადრობის ნებართვას, ის შეიძლება, გაიცეს, მაგალითად, საქართველოში სამეწარმეო ან შრომითი საქმიანობის ან ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის მიზნით, ასევე პირზე რომელსაც საქართველოში დაუდგინდა მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსი და სხვა. დროებითი ბინადრობის მოწმობა უცხოელებზე გაიცემა არაუმეტეს 6 წლის ვადით, ხოლო მოქალაქეობის არმქონე პირებზე კი – 3 წლის ვადით.

2005-2013 წლებში 40 100 უცხო ქვეყნის მოქალაქეზე გაიცა ბინადრობის ნებართვა, საიდანაც მუდმივი ბინადრობის ნებართვა გაცემულია 8791 უცხო ქვეყნის მოქალაქეზე, ხოლო დროებითი ბინადრობის ნებართვა – 31 309 უცხო ქვეყნის მოქალაქეზე. მუდმივი ბინადრობის ნებართვების გაცემის ყველაზე მეტი (2502 პირი) შემთხვევა 2010 წელს აღირიცხა, ხოლო დროებითი ბინადრობის ნებართვების – 2012 წელს (6 426 პირი).

აქაც იგივე მდგომარეობაა, რასაც საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შემთხვევაში ჰქონდა ადგილი: 2005-2013 წლებში ყველაზე მეტი მუდმივი ბინადრობის ნებართვა გაიცა რუსეთის მოქალაქეებზე (5879), ხოლო ყველაზე მეტი დროებითი ბინადრობის ნებართვა – თურქეთის მოქალაქეებზე (7812). დროებითი ნებართვების მიღების რაოდენობის თვალსაზრისით გამოირჩევიან აგრეთვე ჩინეთის მოქალაქეები, რომელთა აქტივობა განსაკუთრებით შეინიშნება უკანასკნელ წლებში. 2011-2013 წლებში ყოველწლიურად ჩინელებზე გაცემული დროებითი ბინადრობის ნებართვების რაოდენობა 1300-დან 1800-მდე მერყეობს.

ლტოლვილთა სტატუსის მინიჭება

2005-2013 **წლებში** საქართველოს ხელისუფლებას თავშესაფრის მოთხოვნით 1300-ზე მეტმა უცხოელმა მიმართა, 30 სხვადასხვა ქვეყნიდან. მათ ძირითად რაოდენობას აზიისა და აფრიკის ქვეყნების მოქალაქეები შეადგენენ.

2005 წელს საქართველოში თავშესაფარი მოითხოვა 23-მა მოქალაქემ, მიიღო – 7-მა. თავშესაფრის მაძიებელთა შორის იყვნენ რუსეთის 19 მოქალაქე, ირანის – 3, აზერბაიჯანის – 1.

2006 წელი – მაძიებელი 19, მიენიჭა – 5-ს. მაძიებელთა შორის იყო რუსეთის 14 მოქალაქე, ყირგიზეთი – 1, ნიგერია – 1, თურქეთი – 3.

2007 წელი – მაძიებელი 21, მიენიჭა-8-ს. მაძიებელთა შორის იყო რუსეთის 16 მოქალაქე, აზერბაიჯანი – 1, ნიგერია – 1, თურქეთი – 3.

2008 წელი – მოთხოვნა – 33, მიენიჭა 17-ს. მაძიებელთა შორის იყო რუსეთი – 20, თურქეთი – 1, შრი-ლანკა – 3, ნიგერია – 1, ყირგიზეთი – 1, სომხეთი – 3, ერაყი – 4.

2009 წელი – მოთხოვნა 43, მიენიჭა – 6-ს. მაძიებელთა შორის იყო: რუსეთი – 14, აზერბაიჯანი – 1, ირანი – 7, თურქეთი – 2, უზბეკეთი – 1, უკრაინა – 1, შრი-ლანკა – 9, ერაყი – 1, სომხეთი – 6, პაკისტანი – 1.

2010 წელი – მოთხოვნა 57, მიენიჭა -5-ს. მაძიებელთა შორის იყო: რუსეთი – 32, აზერბაიჯანი – 6, ირანი – 4, კოტ-დივუარი – 4, ნიგერია – 4, უზბეკეთი – 3, უკრაინა – 2, კამერუნი – 1, ერაყი – 1.

2011 წელი – მოთხოვნა – 79, მიენიჭა 16-ს. მაძიებელთა შორის იყო: რუსეთი – 34, ირანი – 31, ნიგერია – 7, ნეპალი – 3, ტუნისი – 1, სერბეთი – 1, ავღანეთი – 1, ტაჯიკეთი – 1, ყირგიზეთი – 1.

2012 წელი – მოთხოვნა – 559, მიენიჭა – 44-ს. მაძიებელთა შორის იყო: ერაყი – 443, რუსეთი – 36, ირანი – 42, უზბეკეთი – 1, სომხეთი – 5, აზერბაიჯანი – 3, კოტ-დიუვარი – 1, კამერუნი – 1, ყირგიზეთი – 5, ყაზახეთი – 3, მაროკო – 2, პაკისტანი – 3, სირია – 18, ეთიოპია – 1, ინდოეთი – 1, ეგვიპტე – 22, თურქეთი – 1, ბელორუსი – 1, სამხრეთ აფრიკა – 1, ავღანეთი – 2, კონგო 2, იორდანია – 1, რუმინეთი – 1, ბანგლადეში – 1, უკრაინა – 1, ლიბანი – 1.

2013 წელი – მაძიებელი 717, მიენიჭა – 31-ს. მაძიებელთა შორის იყო: აზერბაიჯანი – 4, ბანგლადეში – 9, ეგვიპტე – 80, ერაყი – 478, იორდანია – 3, ირანი – 26, ლიბანი – 3, მაროკო – 3, ნიგერია – 7, რუსეთი – 28, სიერა ლეონე – 1, სირია – 60, შრი-ლანკა – 6, თურქეთი – 3, უკრაინა – 2, უზბეკეთი – 2, ყაზახეთი – 2.

IDFI-ის მიერ გაანალიზებული მონაცემების მიხედვით: „ბოლო ორი წლის განმავლობაში, წინა წლებთან შედარებით, მაძიებელთა რიცხვის მკვეთრი ზრდა შეიძლება აიხსნას საერთაშორისო მოვლენებით. ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე კონფლიქტებმა და არსებულმა საომარმა მოქმედებებმა აიძულა ამ ქვეყნების მოქალაქეები დაეტოვებინათ საცხოვრებელი და თავშესაფრის მოთხოვნის მიზნით მიემართათ სხვადასხვა სახელმწიფოებისათვის, მათ შორის საქართველოსთვის.

თვალსაჩინო მაგალითისათვის, 2005 წლიდან 2011 წლამდე საქართველოში თავშესაფრის მთხოვნელთა რიცხვი 300-ს არ აღემატებოდა. 2005 წელს თავშესაფარი 23 უცხოელმა ითხოვა, 2006 წელს – 19; 2007 წელს – 21; 2008 წელს 33; 2009 წელს – 43; 2010-ში კი 57. აქედან, უდიდეს ნაწილს რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები შეადგენდნენ.

ამ ფონზე თვალშისაცემი გახდა ბოლო ორი წლის მონაცემების მკვეთრი ზრდა. 2012 წელს საქართველოს მთავრობას ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების თხოვნით 599 განმცხადებელმა მიმართა, მათ შორის იყო 443 ერაყელი წარმომავლობის მოქალაქე. წარმოდგენილი მოთხოვნებიდან დაკმაყოფილდა 44 განცხადება. 2013 წელს კი თავშესაფარი სხვადასხვა ქვეყნებიდან ჯამში 717 უცხოელმა ითხოვა მათ შორისაც სჭარბობდა ერაყელი წარმოშობის 478 მოქალაქე. აქედან, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსი 31 მოქალაქეს მიენიჭა.

ერაყის მოქალაქეების გააქტიურება თავშესაფრის ძიების მხრივ, კვლავ ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტებს უკავშირდება. მათი უმრავლესობა მეორედ არის დევნილობაში, თავის დროზე ერაყში მიმდინარე კონფლიქტის გამო მათ დატოვეს თავიანთი ქვეყანა და მიიღეს თავშესაფარი სირიისგან, ხოლო სირიაში განვითარებული მოვლენების გამო, მათ ამ ქვეყნის დატოვებაც და თავშესაფრის სხვაგან ძიება მოუხდათ“.

მოამზადა
დარეჯან მეფარიშვილმა
PROGRESSNEWS.GE

P. S. სტატიაში გამოყენებულია IDFI-ის მონაცემები.

ავიაბაზრის ლიდერები „ვიზეარი“, „თურქეთის ავიახაზები“ და „ჯორჯიან ეარვეისი“ არიან

სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მონაცემებით, ყველაზე მეტ მგზავრს 2019 წელს, წინა წლის მსგავსად, „ვიზეარი“ მოემსახურა. ევროპული ავიაკომპანიის მომსახურებით 2019 წელს 825 290 მგზავრმა ისარგებლა, რაც მთლიანი მაჩვენებლის 16 პროცენტია. შედარებისთვის, 2018 წელს „ვიზეარი“ 587 179 მგზავრს მოემსახურა და მისი წილი 12 პროცენტი იყო.

საქართველოში 2019 წელს „თურქეთის ავიახაზებით“ 572 181 მგზავრმა ისარგებლა, რაც მთლიანი მაჩვენებლის 11 პროცენტია. 2018 წელს „თურქეთის ავიახაზების“ წილი ასევე 11 პროცენტია, გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობა კი, 559 749 იყო.

2019 წელს შემცირდა „ჯორჯიან ეარვეისის“ მიერ გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობა, თუმცა, წინა წლის მსგავსად, ავიაკომპანიამ ბაზარზე მესამე ადგილი დაიკავა. „ჯორჯიან ეარვეისი“ შარშან 500 482 მგზავრს მოემსახურა (წილი – 10 პროცენტი), 2018 წელს კი, 550 831 მგზავრს (წილი – 11 პროცენტი).

ბაზარზე ოთხპროცენტიანი წილი დაიკავეს „უკრაინის ავიახაზებმა “ (207 588 მგზავრი), „ფლაი დუბაიმ“ (204 364 მგზავრი), „ურალის ავიახაზებმა“ (190 341 მგზავრი), „პეგასუსმა“ (180 761 მგზავრი) და „პობედა ეარლაინსმა“ (180 684 მგზავრი). სხვა ავიაკომპანიების წილი ოთხ პროცენტზე ნაკლები იყო.

სარდაფში, ბუხრის პირას...

როსტომ ჩხეიძის საჯარო ლექცია მიხეილ ჯავახიშვილზე

გიზო თავაძის „ლიტერატურულ სარდაფში“ როსტომ ჩხეიძემ მორიგი ლექცია გამართა — ამჯერად, მიხეილ ჯავახიშვილზე.

შესავალ სიტყვაში მწერალმა ელგუჯა თავბერიძემ აღნიშნა:

— ჩვენ ძალიან ხშირად გავუკვირვებივართ როსტომ ჩხეიძეს ისეთი ადამიანების წარმოჩენით, რომელთა შესახებ ფართო მკითხველმა საზოგადოებამ ცოტა რამ ან თითქმის არაფერი იცოდა. როსტომს ეს პიროვნებები გაუცოცხლებია, წარმოუჩენია მათი ღვაწლი, უჩვენებია, რა სულისკვეთებით იცხოვრეს, საერთოდ, როგორ განვლეს წუთისოფელი.

მიხეილ ჯავახიშვილზე თითქოს ყველამ ყველაფერი იცის, მაგრამ დღევანდელი ლექცია მაინც დაგვარწმუნებს, რომ ბევრი რამ თავიდან წასაკითხი, ჩასაფიქრებელი და ჯერ კიდევ აღმოსაჩენია. აღსანიშნავია, რომ მიხეილ ჯავახიშვილის დაბადების დღე გუშინწინ იყოო, — ესეც დასძინა ბატონმა ელგუჯამ და აუდიტორია როსტომ ჩხეიძეს დაუთმო.

ბატონმა როსტომმა იმით დაიწყო, რითაც წამყვანმა დაამთავრა:

დიახ, გუშინწინ იყო მიხეილ ჯავახიშვილის დაბადების დღე და სწორედ იმ დღეს დავასრულე ბიოგრაფიული რომანი „კალამი გოლგოთაზე“. უნდა გითხრათ, რომ ასეთი დამთხვევები ძალიან მიყვარს, ყოველთვის ვცდილობ, რომანის დამთავრება გარკვეულ თარიღს დავამთხვიო. მიხეილ ჯავახიშვილი ჩემს არაერთ ბიოგრაფიულ რომანში გამოჩნდა, როგორც პერსონაჟი, მაგრამ ახლა უკვე საკუთრივ მასზე უნდა დაწერილიყო რომანი.

სხვათა შორის, მიხეილ ჯავახიშვილზე მაქვს პიესა, რომელიც ამოიზარდა იმ სურვილზე, რაც თვითონ მწერალს ჰქონდა — მისი პერსონაჟები შეკრებილიყვნენ და გაესამართლებინათ ავტორი **(„ჩემი ნაწერების გმირები იკრიბებიან და მასამართლებენ. კარგი თემაა“ (1924). „თემა: „ჩემი სტუმრები — ჩემი გმირები მოდიან (ჯაყო, თეიმ. კვაჭი) და გასამართლებას მიპირებენ“ (1935). მ. ჯავახიშვილის უბის წიგნაკებიდან).**

მიხეილ ჯავახიშვილზე მარტო პიესის დაწერა არ კმაროდა, აუცილებლად უნდა დამეწერა ბიოგრაფიული რომანიც, მით უმეტეს, აქამდე ასეთი რამ არ დაწერილა, თუმცა ბიოგრაფიულ რომანად პირობითად ითვლება მისი შვილის ქეთევან ჯავახიშვილის დოკუმენტურ-მემუარისტული ნაწარმოები, მაგრამ სხვასაც უნდა დაეწერა მასზე, მით უფრო, რომ მიხეილ ჯავახიშვილის ირგვლივ გულისყური და მითქმა-მოთქმა არა ცხრება, რაც გარკვეულწილად მისი ბედისწერაა, ისევე როგორც ალექსანდრე ყაზბეგისა.

როსტომ ჩხეიძემ მიხეილ ჯავახიშვილის უბის წიგნაკის ჩანაწერებს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო:

ეს ჩანაწერები ნამდვილი განძი და აუცილებლად წასაკითხია, 20-30-იანი წლების ეპოქის სურათებს ხატავს ავტორი მასში, იმასაც გვეუბნება, რისი დაწერა უნდოდა, რა ვერ დაწერა. ეს ჩანაწერები, როგორც კარგი რომანი, ისე იკითხება. რამდენიმე თემაზე უნდოდა, დაეწერა და ვერ მოახერხა, მაგალითად: დიმიტრი ყიფიანის ტრაგიკულ აღსასრულზე, კარლო ჩხეიძეზეც, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკურად სხვადასხვა პოლუსზე იმყოფებოდნენ, მაგრამ კარლოს ტრაგიკული და ღირსეული აღსასრული მისთვის, ისევე როგორც ბევრისთვის, აღმოჩნდა სულისშემძვრელი.

ასეთი თემაც უნდოდა დაეწერა: ადის მიხეილ ჯავახიშვილი მამადავითზე, ამოდის საფლავიდან ილიას აჩრდილი და ერთად დადიან მთელ საქართველოში და ილიას აჩრდილი კი ეუბნება, აქ გაძლება აღარ შეიძლებაო, ეს უარესი ქვეყანაა, ვიდრე ჩემს დროს იყოო.

აქვე ბატონმა როსტომმა ილიასა და მიხეილის პირველი შეხვედრაც გაიხსენა და ისიც, თუ როგორ დაულოცა გზა მიხეილს ილიამ მწერლობაში. ილიას მკვლელობის შემდეგ კი პირველი, ვინც სოციალ-დემოკრატებს ხელი დაადო წიწამურის ტრაგედიის მომზადებამოწყობაში, სწორედ მიხეილ ჯავახიშვილი იყო.

მომხსენებელმა მიხეილ ჯავახიშვილის პოლიტიკურ მოღვაწეობაზეც გაამახვილა ყურადღება. აღნიშნა, რომ თავიდან იყო სოციალ-ფედერალისტი, შემდეგ გახდა ეროვნულ-დემოკრატი, იყო „წითელი ჯვრის“ საზოგადოების წევრი, ქმედითად იყო ჩაბმული საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაში. იმ დროს არსებობდა დამოუკიდებლობის კომიტეტი და სამხედრო კომიტეტი, რომელთაც აჯანყება უნდა მოემზადებინათ და პირდაპირი კავშირი ჰქონდათ ქაქუცა ჩოლოყაშვილთან, რომელიც არ ჩქარობდა, სურდა, ეს ყოფილიყო საერთოკავკასიური აჯანყება, რადგანაც ძლიერი საქართველო ვერ იარსებებს თუ არა ძლიერი კავკასია.

ამ სამხედრო კომიტეტის მეთაური იყო კოტე აფხაზი, ილიას დისწული, ჯერ კიდევ აჯანყებამდე კომიტეტის წევრები, საუკეთესო ოფიცრები გაიყვანეს და დახვრიტეს, დანარჩენი, ვისაც რაიმე კავშირი ჰქონდა ფარულ სამზადისთან, დააპატიმრეს, მათ შორის, მიხეილ ჯავახიშვილიც. თერთმეტჯერ გადაუწყვიტეს დახვრეტა. ამას იხსენებს შალვა ამირეჯიბი.

მიხეილი შემდეგ იხსენებდა, რა უნდა მეკეთებინა საკანში, დრო რომ გამეყვანა, საკუთარ თავს დომინოს ვეთამაშებოდიო. ამ დროს სერგო ორჯონიკიძესთან თხოვნით მიდიან მწერლები და საზოგადო მოღვაწეები მიხეილის გათავისუფლებასთან დაკავშირებით. ორჯონიკიძემ წამოაყენა ასეთი პირობა — პოლიტიკაში არ გაერიოსო. მაშინ ასე გადარჩა მიხეილ ჯავახიშვილი.

როსტომ ჩხეიძის აზრითაც, „ჯაყოს ხიზნები“ უშუალო გამოძახილია ქაქუცა ჩოლოყაშვილის აჯანყებისა, ამიტომაც არ მოეწონა ხელისუფლებას. ინტელიგენტი, კეთილშობილი კაცი თეიმურაზი, რომელიც იქცევა ტლუ ჯაყოს მოჯამაგირედ, როცა გაიმართა ამ წიგნის განხილვა, ყოველი მხრიდან შეუტიეს. მაშინ გერონტი ქიქოძემ კიდევაც უთხრა, როგორ მიშა, ეს რა გვიყავიო, ჩვენ ქართული ინტელიგენცია თეიმურაზ ხევისთავი ვართო? მიხეილმა უპასუხა, სამწუხაროდ, ეს ვართ და პირველ რიგში მე ჩემი თავი დავხატეო.

როგორი ძნელია, შენს თავს ასე შეხედო, არადა, გარეგნულად თეიმურაზ ხევისთავი მიხეილ ჯავახიშვილის ავტოპორტრეტია, იმიტომ, რომ მწვავედ განიცადა და ბრალს დებს თავის თავს, რატომ უნდა ჩაეგდოთ ხელში ბოლშევიკებს ყველაფერი? — იმიტომ, რომ ინტელიგენციამ ვერ გამოიჩინა ვერც შორსმჭვრეტელობა და ვერც ენერგიულობა.

„ჯაყოს ხიზნების“ პირველ ვარიანტში მიხეილ ჯავახიშვილი რევოლუციას ხატავს როგორც კატის კნუტს, რომელსაც ყველა ეფერებოდა, თავზე ხელს უსვამდა, მერე წამოიზარდა და ვეფხვის ბოკვრად გადაიქცა, სისხლიანი კლანჭები (წითელ ბოლშევიზმზე მიუთითებს) აატრიალა და დაიჩემა ყველაფერი. ეს ამოშალეს. მიხეილ ჯავახიშვილის რომანებიდან ბევრ რამეს შლიდნენ.

ბატონმა როსტომმა რომანის ფინალზეც საინტერესოდ ისაუბრა. „ისევ დაყუდებული შიო მღვიმელივით იცდის თეიმურაზ ხევისთავი“. ძალიან ბევრმა ვერ გაიგო — შიო მღვიმელი რა შუაშიაო?! აი, რა ხდება: დამოუკიდებელი კომიტეტის წევრები შეიპყრეს შიომღვიმის მონასტრის მიდამოებში, ეს პირდაპირი მინიშნებაა იმისა, რომ ეს ამბები ეძღვნება აჯანყების მოვლენებს. მიხეილ ჯავახიშვილთან სიმბოლიკა და ყოფითობა შესანიშნავად გადადის ერთმანეთში. მაგალითად, „ჯაყოს ხიზნების“ დასაწყისში თეიმურაზი ჯაყოსთან შედის იღლიაში ცხვარამოჩრილი. ერთი შეხედვით, ეს ყოფითი სურათია, მაგრამ ცხვარი ნიშნავს საზოგადოებას, რომელიც უნდა აღმოჩნდეს ჯაყოს ხელში.

მომხსენებელმა მოკლე მონახაზით შესანიშნავად დაგვიხატა „თეთრი საყელოს“ სიუჟეტი და იდეა: ეს ნაწარმოები ძალიან პოპულარული იყო და არის, ქალაქიდან გარბის ინჟინერი და შეეფარება ხევსურეთს, აღარ უნდა ქალაქში ჩამოსვლა, რადგან გაწითლებულია ქალაქი, იმედი აქვთ ხევსურებს, რომ შეაჩერებენ ამ შემოსვლას და საბოლოოდ ისევ ქალაქში ბრუნდება იძულებით ელიზბარი. იქ ისეთი ადათ-წესებია დახატული, რომელიც შემორჩენილია ხევსურეთში, ცალე ამბავია წაწლობა, რომლის ირგვლივაც ტრიალებს ამ რომანში ყველაფერი. ამ თემაზეა დაწერილი აგრეთვე გრიგოლ რობაქიძის „ენგადიც“, ბაჩანა რაზიკაშვილმა დაწერა პოემა „წაწლობა“.

როსტომ ჩხეიძე მიიჩნევს, რომ ნაკლებად დაფასებულია „გივი შადური“ — ეს უსამართლოდ მიჩქმალული რომანია, მე რომ მკითხოს კაცმა, „ჯაყოს ხიზნები“, „კვაჭი კვაჭანტირაძე“ და „გივი შადური“ ეს არის ტრილოგია, სამი შედევრი, დანარჩენი კი ამათ გარშემოა.

„გივი შადურშიც“ ნაკაცარის ტრაგედიაა, როგორ იკარგება ღირსება და როგორ გინდა, გადაირჩინო პიროვნული კეთილშობილება, რომ ამ მთავრობასთან თანამშრომლობას არ დასთანხმდე. როცა „გივი შადურს“ წერდა, მიხეილმა გადაწყვიტა, შეექმნა ლიტერატურული დაჯგუფება „არიფიონი“, რომლის ერთი ნომერიც გამოვიდა, ეს „არიფიონი“ ტრიალებს „გივი შადურში“, ამ ნაწარმოებში მიხეილს თავის თავიც ჰყავს გამოყვანილი პერსონაჟად. სხვათა შორის, „კვაჭი კვაჭანტირაძეში“ მიხეილ ჯავახიშვილი მოდის სადაზღვევოდან და ის ხელს უწყობს კვაჭის თაღლითობაში, ამით მწერალი თავის თავზეც ამბობს, რომ ჩემი ბრალიც არის კვაჭი კვაჭანტირაძისა და მისი მსგავსი თაღლითების გალაღებაო. იგივეა „გივი შადურშიც“. თავყრილობაა მწერლების, სადაც პირველ პირში ყვება გივი შადური და მესამე პირში მიმართავს მიხეილ ჯავახიშვილს, ჟურნალ „არიფიონში“ იბეჭდება მიხეილ ჯავახიშვილის „დამპატიჟე“, რომელმაც არანაკლები რისხვა დაიტეხა, ვიდრე სხვა თხზულებებმა და ვინ არის დამპატიჟე?— ახალი ტიპის ადამიანი, რომელიც ხელში იგდებს ყველაფერს, საკოლმეურნეო ცხოვრება იწყება და გეუბნებიან, რომ ეს არის ყველაფერი, რომელმაც უნდა გამოასწოროს ეკონომიკა, სოფლის მეურნეობა და უიმისოდ წარმოუდგენელია, დოვლათი დატრიალდეს ქვეყანაში. ნაწარმოების მთავარი პერსონაჟები არიან თედორე და დამპატიჟე, თედორე მშრომელი გლეხი, დამპატიჟე — უსაქმური, რომლის ხელშია თედორე და მშრომელი ადამიანები, და თვალნათლივ იკვეთება, რომ საკოლმეურნეო მოძრაობა სინამდვილეში დანაშაულებრივი მოვლენაა. რა თქმა უნდა, ამ ნაწარმოებმაც სისტემისგან მძაფრი კრიტიკა დაიმსახურა.

„არსენა მარაბდელთან“ დაკავშირებით, როსტომ ჩხეიძემ აღნიშნა: თითქოს ამ ნაწარმოებში მთავარი სოციალური მოტივია, მაგრამ მთავარი არის ის, რომ არსენაზე წერს და ხატავს ქაქუცა ჩოლოყაშვილს, არსენა ოძელაშვილი იყო მარტოხელა ყაჩაღი, არსენა მარაბდელს კი მთელი რაზმი ჰყავს, შეფიცულთა რაზმი, წერენ წესდებას, ეძახიან ბელადს, ეს ტერმინი კი მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს შემოვიდა. თვითონ ქაქუცას რაზმელები ეძახდნენ ბელადს და თან ნაწარმოებში მკვეთრადაა წამოწეული ეროვნული მოტივები.

მიხეილ ჯავახიშვილი ყველა ადამიანს იმდენს აძლევს, რამდენიც შეუძლია აიღოს ამა თუ იმ ადამიანმა. ის არ დაჰმორჩილდა რეჟიმს, რაც იმ დროს იშვიათი მაგალითი იყო, ამიტომაც 1937 წელს ცემით მოკლეს. მის სულიერ მემკვიდრედ და გზის გამგრძელებლად ხშირად ოთარ ჩხეიძეს მიიჩნევენ, როცა ოთარ ჩხეიძეს ჰკითხეს, როგორ ბედავდით 40-50-იან წლებში სიმართლის თქმასო, უპასუხა, მიხეილ ჯავახიშვილის მაგალითმა გამაბედვინაო. როცა ამას ვერავინ ბედავს, ვერ ბედავ შენც, მაგრამ როდესაც გაბედა ერთმა, მაშინ მის კვალს შეიძლება, სხვებიც დაადგნენ.

ბატონმა როსტომმა ერთი საათის განმავლობაში თავისად დამახასიათებელი საგულისყურო თხრობით წარმოსახა მიხეილ ჯავახიშვილის ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური პორტრეტი, გამოკვეთა მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ნაცნობი თუ უცნობი დეტალები, შეგვახსენა მისი ტრაგიკული გზა და თავგადასავალი.

აღსანიშნავია, რომ მსმენელთა შორის სჭარბობდნენ ქუთაისის ანდრია რაზმაძის სახელობის №41 ფიზიკა-მათემატიკური სკოლის მოსწავლეები და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები, რომლებიც ყოველთვის სულმოუთქმელად მოელიან და დიდი გულისყურით ესწრებიან როსტომ ჩხეიძის ლექციებს.

გარემო კი იყო მართლაც ლიტერატურული საუბრების შესაფერისი: გარეთ ქროდა ცივი ქარი, სარდაფში კი გიზგიზებდა ბუხარი და როსტომ ჩხეიძე მიხეილ ჯავახიშვილზე გვესაუბრებოდა.

ბოლოს დამსწრე საზოგადოებამ მადლობა გადაუხადა მწერალს საყურადღებო ლექციისთვის, ხოლო აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის მაგისტრმა ლიკა თეგეტაშვილმა ლექსიც კი მიუძღვნა ბატონი როსტომის ლექციას:

გიზოს სარდაფში გიზგიზებს ცეცხლი,
ჯავახიშვილის სული კრთის ქართა,
როსტომ ჩხეიძის მწერლური ხიბლი,
ჩვენს ისტორიას ფურცლებზე ქარგავს...

სოფიკო ჭუმგურიძე

მედვედევი გამოადგილევდა...

პუტინი პუტინს – ძალაუფლების ტრანზიტი რუსეთში

რუსეთის ფედერაცია მასშტაბური საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის ემზადება. ვლადიმირ პუტინი აპირებს, პრეზიდენტის უფლებამოსილების ნაწილი საკანონმდებლო ორგანოს გაუნაწილოს.

რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციაში ცვლილებების შესატანად იქმნება 75-კაციანი ჯგუფი, რომლის ერთ-ერთი თანათავმჯდომარე იქნება ფედერაციული საბჭოს საკონსტიტუციო კანონმდებლობისა და სახელმწიფო მშენებლობის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ანდრეი კლიშასი. იურისტებისა და საკონსტიტუციო სამართლის სპეციალისტების გარდა, კომისიის შემადგენლობაში ასევე შევლენ რეჟისორები, ექიმები, მწერლები და სპორტსმენები: ცნობილი კარდიოქირურგი ლეო ბოკერია, ჭოკით მხტომელი ელენა ისინმბაევა, რეჟისორი ვლადიმირ მაშკოვი, მწერალი ზახარ პრილეპინი, ფიგურისტი ირინა როდნინა, ჟურნალისტი ვლადიმირ სოლოვიოვი, სახელმწიფო სათათბიროს წევრები და სხვა საზოგადო მოღვაწეები.

თაოსნობა, რომლითაც ვლადიმირ პუტინმა ფედერალურ კრებას მიმართა, რადიკალურად შეცვლის სახელმწიფო მმართველობის სისტემას რუსეთში. 15 იანვარს ვლადიმირ პუტინი გამოვიდა წინადადებით, კონსტიტუციით განისაზღვროს სახელმწიფო საბჭოს სტატუსი, სახელმწიფო სათათბიროს კი მიენიჭოს უფლება — დაამტკიცოს არა მხოლოდ პრემიერ-მინისტრის კანდიდატურა, არამედ მინისტრებიც. გარდა ამისა, კონსტიტუციაში აღარ იქნება ჩანაწერი იმის შესახებ, რომ რუსეთის პრეზიდენტად არ შეიძლება ერთი პირის არჩევა ზედიზედ ორზე მეტი ვადით. პუტინის რედაქციით, კონსტიტუციიდან ამოვარდება სიტყვა „ზედიზედ“. თუ, რა თქმა უნდა, ხალხი არ იქნება წინააღმდეგი, შენიშნა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა.

ვლადიმირ პუტინი მიიჩნევს, რომ საკონსტიტუციო შესწორებები უნდა იქნას გატანილი „სახალხო კენჭისყრაზე“, თუმცა რუსეთის ფედერაციის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ელა პანფილოვა ვარაუდობს, რომ საქმე რეფერენდუმის გამართვამდე არ მივა და გამოიძებნება ცვლილებების მიღების რაიმე სხვა ფორმა.

რამდენად მნიშვნელოვანი და არსებითია პუტინის მიერ შეთავაზებული ცვლილებები?

რუსი პოლიტოლოგის ეკატერინა შულმანის თქმით, დაანონსებულ საკონსტიტუციო ცვლილებებს ვერანაირად ვერ დაარქმევ რადიკალურს, რადგანაც ისინი არსებითად არ ცვლიან პოლიტიკური სისტემის კომპოზიციას.

ეკონომისტი ანდრეი ნეჩაევი კი ვარაუდობს, რომ კრემლში განიხილავენ პუტინისთვის ძალაუფლების შენარჩუნების განსხვავებულ გზებს, რომელთა შორისაც შეიძლება იყოს მოკავშირე სახელმწიფოს ვარიანტიც, ახალი საკონსტიტუციო ორგანოს შექმნაც და უფლებამოსილების გადანაწილებაც პრეზიდენტსა და მთავრობას შორის. ამ თვალსაზრისით პუტინის მიმართვა ერთგვარი ტესტია იმის გასარკვევად, თუ როგორი დამოკიდებულება ექნება საზოგადოებას. ამასთან, არ არსებობს არანაირი გარანტია, რომ პუტინის მიერ შეთავაზებული ახალი სისტემა გაძლიერებული სათათბიროთი, ფედერაციის საბჭოთი და სახელმწიფო საბჭოს ახალი სტატუსით დიდხანს შენარჩუნდება.

„სავარაუდოდ, ეს მხოლოდ ტრანზიტისთვის საჭირო დროებითი ვარიანტია. სისტემა, რომელშიც პრეზიდენტიც არის და მისი უფლებამოსილების შემზღუდავი ინსტიტუტებიც, ვერ იმუშავებს ხისტი პერსონიფიცირებული რეჟიმის გარეშე. ერთგვარი გამაერთიანებელი მედიატორის გარეშე ეს სისტემა ვერ იარსებებს, ამიტომაც ამგვარი მოდელი მხოლოდ დროებითი შეიძლება იყოს, რათა პუტინი წავიდეს წასვლის გარეშე. ცხადია, ხელისუფლება იბრძოლებს თავის გადარჩენისთვის და შესაბამისად 2021 წელი იქნება ძალიან მძიმე საზოგადოებისთვის“, — ამბობს პოლიტოლოგი ალექსანდრე კინევი.

რატომ გადადგა დიმიტრი მედვედევი პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან?

რუსი პოლიტოლოგები დარწმუნებული არიან, რომ მედვედევის ამ ნაბიჯს საკონსტიტუციო რეფორმასთან პირდაპირი კავშირი არ აქვს. სისტემის გარდაქმნა არ ითვალისწინებს პერსონალურ ცვლილებებს, თუმცა რუსეთის ხელისუფლებას სჩვევია მნიშვნელოვანი სიახლეების დანერგვისას საზოგადოების ყურადღების გადატანა მეორეხარისხოვან საკითხზე.

რადიო თავისუფლების რუსული სამსახურის ცნობით, პუტინის პაკეტში არის რამდენიმე პოპულისტური შესწორებაც: ქვეყნის ძირითად კანონში ჩაიწერება, რომ მინიმალური ხელფასი არ უნდა იყოს საარსებო მინიმუმზე ნაკლები და, რომ უნდა ხდებოდეს პენსიების ინდექსაცია, თუმცა ცვლილებების ძირითადი არსი მდგომარეობს ძალაუფლების ტრანზიტში, რომლის მიხედვითაც ძალაუფლება ვლადიმირ პუტინიდან გადაეცემა კვლავ ვლადიმირ პუტინს.

რას ნიშნავს საპარლამენტო არჩევნებამდე 1,5 წლით ადრე კონსტიტუციის ნაჩქარევი ცვლილება? ეს არის გადატრიალება სახელმწიფოში თუ სახელმწიფო გადატრიალება? — ამ კითხვით მიმართა რადიო თავისუფლების რუსულმა სამსახურმა პოლიტიკოსსა და ისტორიკოს **ვლადიმირ რიჟკოვს.**

„ეს არ არის გადატრიალება. ეს არის წინასწარი სამზადისი 2024 წლის არჩევნებისთვის და უკავშირდება ან ვლადიმირ პუტინის წასვლას ან ხელისუფლებაში დარჩენას რაღაც ფორმით, თუმცა ერთმნიშვნელოვანად უკავშირდება სამომავლოდ ხელისუფლების გადაცემას ან ხელისუფლებაში სამომავლო ცვლილებებს. ეს არ არის გადატრიალება — ეს არის ცვლილება, რომელსაც არ აქვს კარდინალური, ფუნდამენტური ხასიათი“, — ამბობს **ვლადიმირ რიჟკოვი.**

თუმცა იურისტი ელენე ლუკიანოვა მიიჩნევს, რომ ვლადიმირ პუტინის თაოსნობა შესაძლოა, სერიოზულ საფრთხეებს უქმნიდეს რუსეთის საკონსტიტუციო წეს-წყობილებას:

„რაც მთავარია, ჩვენ არ ვიცით, როგორ გაფორმდება ეს ცვლილებები საბოლოოდ, როგორი სახით მივიღებთ მათ. ჩვენ არა გვაქვს პასუხი კითხვაზე, როგორ შეცვლიან სტრატეგია-2024-ს“.

რაც შეეხება დმიტრი მედვედევს, გადამდგარ პრემიერ-მინისტრს. ვლადიმირ პუტინის გადაწყვეტილებით, ის დაიკავებს უსაფრთხოების საბჭოს თავმჯდომარის, ანუ პუტინის მოადგილის პოსტს. გამოდის, მედვედევი იქნება პრეზიდენტის მოადგილე, რაც იმის გათვალისწინებით, რომ სხვა მოადგილე პუტინს არც ჰყავს, სულაც არ არის უმნიშვნელო თანამდებობა.

RADIOTAVISUPLEBA.GE

სარაკეტო იერიშის დროს 11 ამერიკელი სამხედრო დაშავდა

აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ერაყში აშშ-ის სამხედრო ბაზაზე ირანის სარაკეტო იერიშის დროს 11 ამერიკელი სამხედრო დაშავდა.

აშშ-ის ცენტრალური მეთაურობის წარმომადგენლის ბილ ურბანის განცხადებით, რამდენიმე ჯარისკაცმა ტვინის შერყევა მიიღო. დაშავებული სამხედროები გერმანიასა და ქუვეითში დამატებითი გამოკვლევების ჩასატარებლად გაგზავნეს, საიდანაც ისინი კვლავ ერაყში დაბრუნდებიან.

ახლო აღმოსავლეთში საფრანგეთი ავიამზიდს გაგზავნის

ახლო აღმოსავლეთში სამხედრო ოპერაციის მხარდასაჭერად საფრანგეთი ავიამზიდ „შარლ დე გოლს“ გაგზავნის. საფრანგეთის ქალაქ ორლეანში სამხედროებთან შეხვედრაზე ქვეყნის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა თქვა, რომ ბირთვული ავიამზიდი ოპერაცია „შამალის“ მხარდასაჭერად რეგიონში მიმდინარე წლის აპრილამდე დარჩება.

საფრანგეთის სამხედრო ხომალდი ევროპის ქვეყნებთან ერთად ერთობლივ ოპერაციებშიც მიიღებს მონაწილეობას. საფრანგეთმა ოპერაცია „შამალი“ 2014 წლის 19 სექტემბერს, ე.წ. ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ და ერაყის არმიის მხარდასაჭერად დაიწყო.

ირანის პრეზიდენტი ურანის გამდიდრებით იმუქრება

ირანი ურანს იმაზე უფრო მეტად გაამდიდრებს, ვიდრე ამას 2015 წლის ბირთვულ შეთანხმებამდე აკეთებდა. ქვეყნის პრეზიდენტის ჰასან როუჰანის განცხადებით, ეს ყოველდღიურ რეჟიმში მოხდება.

„ირანზე ზეწოლა გაიზრდება, თუმცა ჩვენ პროგრესს განვაგრძობთ. ბირთვული პროგრამა ახლა უფრო უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე შეთანხმების ხელმოწერამდე იყო“, — განაცხადა როუჰანიმ სატელევიზიო მიმართვაში.

16 იანვარს საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი ჯოზეფ ბორელი ირანის საგარეო საგარეო საქმეთა მინისტრს მუჰამედ ჯავად ზარიფს ნიუ-დელიში შეხვდა და 2015 წელს გაფორმებული ბირთვული შეთანხმების საკითხები განიხილა. 15 იანვარს ირანის პრეზიდენტმა ჰასან როუჰანიმ აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპთან ახალი ბირთვული შეთანხმების გაფორმებაზე უარი განაცხადა. ეს ინიციატივა დიდი ბრიტანეთის პრემიერს ბორის ჯონსონს ეკუთვნის. დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ბორის ჯონსონმა 14 იანვარს დონალდ ტრამპს ირანთან ახალი შეთანხმების შეთავაზება სთხოვა, რომლის ფარგლებში თეირანს არასოდეს ექნება ატომური იარაღი. ჯონსონის გეგმით, ე.წ. „ტრამპის შეთანხმებამ“ 2015 წლის ბირთვული შეთანხმება უნდა ჩაანაცვლოს.

სენატში ტრამპის იმპიჩმენტის პროცესი დაიწყო

აშშ-ის სენატმა პრეზიდენტ დონალდ ტრამპის იმპიჩმენტთან დაკავშირებით პროცესი ბრალის ხმამაღლა წაკითხვით დაიწყო.

ტრამპის იმპიჩმენტის პროცესზე ბრალდებას ადამ შიფი ხელმძღვანელობს.

ბრალმდებელთა შვიდკაციან სიაში არიან იურიდიული კომიტეტის ხელმძღვანელი ჯერი ნადლერი და სხვადასხვა კომიტეტის წევრები: ჰაკიმ ჯეფრისი, ზოი ლოფგრენი, ჯეისონი ქროუ, ველ დემინგსი და სილვია გარსია.

სომხეთში კორუფციონერების კუთვნილი ტელეკომპანიები არსებობს

სომხეთის პრემიერ-მინისტრის თქმით, დღეს ქვეყანაში არსებობს ტელეკომპანიები, რომლებიც კორუფციონერებს ეკუთვნით. ეს განცხადება ნიკოლ ფაშინიანმა მთავრობის სხდომაზე გამოსვლის დროს გააკეთა. მისივე თქმით, აუცილებელია, სომხური მედიასაშუალებების მფლობელების სახელები საზოგადოებისთვის ცნობილი გახდეს.

„ჩვენს ქვეყანაში საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მედიასაშუალებები უნდა იყო გამჭვირვალე, ეს უნდა დაიწყოს მფლობელების ვინაობის გასაჯაროებით. მაგალითად, სომხეთში არსებობენ ტელეკომპანიები, რომლებიც კონკრეტულ პირებს ეკუთვნით. მეტსაც ვიტყვი, სომხეთში დემოკრატიის დონე იმდენად მაღალია, რომ არსებობს კორუფციონერების კუთვნილი ტელეკომპანიები. სულ მცირე ორი ტელეკომპანიის ლოგო შეიძლება, შევცვალოთ წარწერით „კორუფცია“ ან „კორუფციული ჯგუფი“, — განაცხადა ფაშინიანმა. მისივე თქმით, ამ ტელეკომპანიების არსებობის გამო ხალხი მთავრობას აკრიტიკებს.

ტექნოლოგიების მოყვარულებს წინ საინტერესო წელი აქვთ. რუბრიკაში „გალილეო“ 2020 წელს მოსალოდნელ რამდენიმე სიახლეზე ვისაუბრებთ, რომელზეც დარგის ექსპერტები ამახვილებენ ყურადღებას. ზოგჯერ მათი პროგნოზი უფრო კონცეპტუალურია, ვიდრე ფაქტობრივი, მაგრამ მაინც – ძალიან საინტერესო.

2020 წლის ტექნოლოგიები

გინდ დაიჯერეთ, გინდ - არა...



კომერციული გაფრენა მთვარეზე

მართალია, 2020 წელს შეიძლება არ მოესწროს პირველი კომერციული გაფრენა მთვარეზე, მაგრამ სპეციალისტების აზრით, მთავარი ფუნდამენტი წელს უკვე ჩაეყრება. ვარაუდობენ, რომ მომდევნო წლებში შემდეგი ეტაპი იქნება ასტეროიდებზე ტურისტული ფრენების მოწყობა. კოსმოსში კომერციული გაფრენის დაწყების საქმეში ერთმანეთს კონკურენციას რამდენიმე ქვეყანა გაუწევს. წამყვანი კონკურენტები ამერიკის შეერთებული შტატები, ჩინეთი, იაპონია და ინდოეთი იქნებიან.

რამდენიმე კერძო კომპანია უკვე ბილეთის ფასსზე საუბრობს. წინასწარი მონაცემებით, ამ ახალი ტიპის ტურიზმს მხოლოდ მილიონერების ჯიბე თუ გაწვდება. საუბარია მთვარეზე გაფრენის სამ ტიპზე: ფრენა დედამიწიდან მთვარის ორბიტამდე; შემოფრენა მთვარის ირგვლივ და ფრენა მთვარეზე გადმოსხმით.

კომპანია „სპეისექსში“ პირველი კომერციული რაკეტის მთვარეზე გაშვებას 2023 წლისთვის გეგმავენ. ელონ მასკის კომპანიაში ფიქრობენ, რომ მთვარეზე პირველი ტური მათ 5-დან 10 მილიარდამდე დაუჯდებათ.

5G ტექნოლოგია

სპეციალისტების აღიარებით, მთავარი სიახლე 5G ტექნოლოგია იქნება, რომლის შემოსვლაც წელს დაიწყება. 5G ზოგადად ტექნოლოგიების განვითარებაში, მათ შორის მობილურ ტელეფონებში, რევოლუციურ ცვლილებებს გამოიწვევს. ინტერნეტი, გვპირდებიან, რომ 100-ჯერ უფრო სწრაფი გახდება. მაგრამ, ცუდია, რომ 5G ტექნოლოგია მობილურ ტელეფონებს მოსალოდნელ გაიაფებამდე, ჯერ საგრძნობლად გააძვირებს.

ახალი თაობის მობილური ტელეფონები დანამდვილებით უფრო თხელი იქნება, ვიდრე ის, რასაც დღეს მოვიხმართ. ზოგიერთი მოდელი გაცილებით დიდიც იქნება, ზომით დაახლოებით, „აიპედს“ და ბოლო დიდ „აიფონს“ შორის. კიდევ უფრო გაუმჯობესდება აპლიკაციების სიჩქარე და მობილურობა. შემოვა უნივერსალური ლექსიკონები, რაც ჩვენს საუბარს სინქრონშივე გადათარგმნის.

მფრინავი მანქანების ახალი მოდელები

მფრინავი ობიექტები, მათ შორის მანქანები და ჰიპერლუპები სიახლე აღარ არის, მაგრამ 2020 წლისთვის ელიან, რომ მათი ახალი, კიდევ უფრო დახვეწილი პროტოტიპები გამოჩნდება. არ არის გამორიცხული, ყველაზე წარმატებული მოდელების სერიულ წარმოებაში ჩაშვების მიზნით, ტექნოლოგიური საფუძველიც მომზადდეს.

აქაც არის ერთი „მაგრამ“: მფრინავი მანქანების სერიული წარმოება მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიწყება, თუ საჰაერო ნავიგაციის ახალი რეგულაციები მომზადდება. იმის გათვალისწინებით, რომ რეგულაციები ჯერ დრონებისთვისთვისაც (უპილოტო საფრენი ობიექტები) არ არის ყველგან მიღებული, ან სადაც არის, იქაც დიდი დავის და განხილვის საგანია, 2020 წელს მფრინავი მანქანების სერიული გამოშვება არ დაიწყება.

ვირტუალური რეალობა მაღაზიებში

„იკეა“ უკვე გვთავაზობს შევამოწმოთ, თუ რამდენად მოერგება და მოუხდება ესა თუ ის ავეჯი, ან ნივთი ჩვენს ოთახს. ერთეული ონლაინ-მაღაზიები იგივე პრინციპით ტანსაცმლის შერჩევა-მორგებასაც გვთავაზობენ.

ანალიტიკოსები ფიქრობენ, რომ წელს ეს მიმართულება გაცილებით გაიზრდება. ყიდვის პროცესი უფრო სწრაფი, ეფექტური, კლიენტზე მორგებული იქნება, რაც როგორც გამყიდველს, ისე მყიდველს, თანხებს საგრძნობლად დაუზოგავს.

მოელიან, რომ მოდის ინდუსტრიაში კიდევ უფრო შემცირდება ბრენდების და ძვირფასი ტანსაცმლის, თუ ფეხსაცმლის წილი.

ტრანს-აზია-ევროპის დერეფანი

ჩინეთს სწრაფი სარკინიგზო ხაზით, დასავლეთთან დაკავშირება სურს. პეკინი აპირებს, დააფინანსოს უმსხვილესი ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელიც 17 ქვეყანას გააერთიანებს და მას ტრანს-აზია-ევროპის დერეფანს დაარქმევს. პრაქტიკულად, ეს იქნება ერთგვარი ხიდი ორ სამყაროს შორის — მატარებელი აღმოსავლეთს და დასავლეთს შორის.

ფინანსურად ჩინეთს ამის გაკეთება არ გაუჭირდება, ეს არ არის ბარიერი პროექტის რეალიზაციისთვის. პრობლემა სხვა რამ შეიძლება გახდეს: ჯერ-ჯერობით უცნობი რჩება, თუ როგორ მოხერხდება მგზავრებისთვის, სულ ცოტა, 16 საზღვრის უმტკივნეულოდ გადაკვეთის ორგანიზება.

რობოტები, რობოტები, რობოტები...

ლას-ვეგასში 6 იანვარს გაიხსნა და 10 იანვრამდე გასტანს ყოველწლიური სამომხმარებლო ტექნოლოგიების გამოფენა, რომელიც 280 000 კვადრატულ მეტრზეა გადაჭიმული. უამრავ სიახლეს შორისაა ტელევიზორი, რომელიც გაცილებით მობილურია, ვერტიკალურად ტრიალებს და მაყურებელი მას სასურველ პოზიციაში აფიქსირებს.

დამთვალიერებლებს ძალიან მოსწონთ „სმარტი“ ნაგვის ურნა. დაპროგრამების შემდეგ, მას თვითონ გააქვს ნაგავი სახლიდან, გადაყრის შემდეგ ბრუნდება და თავადვე ამოიფენს ახალ პოლიეთილენის პარკს.

გერმანულმა მწარმოებელმა „ბოშმა“ მსუბუქი ავტომობილებისთვის და სატვირთო მანქანებისთვის საქარე მინის ახალი ვერსია, „ვირტუალური ვიზორი“ წარმოადგინა. ის სახის ამოცნობის ტექნოლოგიას იყენებს და ერთგვარი ვირტუალური სათვალით, ავტომატურად უჩრდილავს მძღოლს თვალების ნაწილს, როცა მას მზე მიადგება.

უამრავი სიახლის მიუხედავად, ყველა აღიარებს, რომ ლას-ვეგასის გამოფენაზე წელს რობოტები დომინირებენ. იმის გათვალისწინებით, რომ მთელ მსოფლიოში წარმატებით იყიდება მტვერსასრუტი რობოტები, მწარმოებლები გვთავაზობენ მოსამსახურე რობოტების უფრო მრავალფეროვან და ხელმისაწვდომ ვერსიებს. ისინი გაგვიმზადებენ და მოგვართმევენ ჩაის, აგვირჩევენ და მოგვიტანენ წიგნს, სათვალეს, ან ნებისმიერ ნივთს, მაგალითად, ტუალეტის ქაღალდს.

აბაზანაში „კოჰლერი“ ამონტაჟებს „სმარტ“ შხაპს სპიკერით, რომელიც „ალექსას“ უკავშირდება. აბაზანისთვისაა ასევე, ფრანგული კომპანია „მატეოს“ მიერ გამოშვებული ხალიჩა, რომელიც ჩვენს წონას, პოზას და გაბარიტებს გააკონტროლებს.

ავტონომიური, უპილოტო მანქანები

მას შემდეგ, რაც 5G ტექნოლოგია შემოვა, ძალიან სწრაფად დამკვიდრდება ავტონომიურად მავალი, უპილოტო მანქანები. შეიძლება, ეს ჩვენ ჯერ კიდევ არარეალურად გვეჩვენებოდეს, მაგრამ თუ ნახავთ სენსორებს, რომლებსაც უკვე ამზადებენ ტექნოლოგიური კომპანიები, მიხვდებით, რომ ეს არცთუ ისე შორეული მომავლის ამბებია.

ერთ-ერთი ასეთი კომპანიაა ისრაელის და ბრიტანეთის ერთობლივი ფირმა „ვალერანი“. ის საცდელ გზებზე სენსორებს აყენებს, რომელიც სხვა მაჩვენებლებთან ერთად, აფიქსირებს ამინდის ცვალებადობას თუ გზაზე საცობებების დინამიკას. სენსორები აინთება მაშინაც, თუკი გზის პირზე მანქანაა გაჩერებული, ან წყალია გაყინული და უკან მომავალ მანქანებს ხილული თუ უხილავი ბარიერის შემოვლით გაატარებს.

დიაგნოსტიკური აპარატურა მობილურ ტელეფონში

უკვე არსებობს მობილური აპლიკაციები, რომლებიც ზომავს ჟანგბადის დონეს, სისხლის წნევას, გულისცემას, აფიქსირებს სტრესის დონეს.

ანალიზი სულ რამდენიმე წამში კეთდება და მობილური ტელეფონის ეკრანზე ჩნდება. ვარაუდობენ, რომ ამ აპლიკაციებსაც 2020-ში შემოგვთავაზებენ.

ტელევიზორში არხების უპულტოდ, ფიქრით შეცვლა

რა ხანია, გამოიგონეს თავის ტვინის ე.წ. ინტერფეისები, რომლებიც გონებრივ აქტივობას და ელექტროიმპულსებს სენსორებით აფიქსირებს და ზომავს. ფრანგულმა კომპანიამ „ნეექსთმაინდ“ შექმნა კეპი, რომელზეც (კეფაზე, შესაკრავთან) დამაგრებულია მცირე ზომის, მაჯის საათზე ოდნავ დიდი, მრგვალი აპარატი.

კეპის თავზე დახურვის შემდეგ, ადამიანს შეუძლია, არხები, ან თამაშები ვირტუალურად, მხოლოდ ფიქრით შეარჩიოს და გამოცვალოს. კომპანია უკვე მუშაობს არამარტო ტელევიზორების და ვიდეოთამაშების მწარმოებლებთან, არამედ ავტომობილების მწარმოებლებთანაც. შესაძლოა, წლის ბოლოს ბაზარზე პირველი მანქანებიც გამოჩნდეს, რომლებშიც გათბობის, კონდიცირების, ან მუსიკის შეცვლას დისტანციურად, მხოლოდ გონების დაძაბვით შევძლებთ.

რობოტების ბაზა მთვარეზე

ბაზას, რომლის აშენებასაც იაპონია მთვარეზე გეგმავს, რობოტები ააგებენ და ის ისევ ჰუმანოიდი რობოტებისთვის იქნება განკუთვნილი.

რამდენიმე წლის წინათ გაკეთებული შეფასებებით, ამბიციური გეგმა იაპონიის კოსმოსურ სააგენტოს პირველ ეტაპზე 2.2 მილიარდი დოლარი უნდა დასჯდომოდა, მაგრამ ახლა ვარაუდობენ, რომ ეს თანხა, სულ ცოტა, 10 მილიარდამდე გაიზრდება. პროექტს საფუძველი წელს ჩაეყრება.

მაია ძვარცხავა



◎ ფეხბურთი

ვალმოხდილი წავიდა

საჩხერის „ჩიხურას“ მთავარი მწვრთნელის პოსტი სოსო ფრუიძემ დატოვა. აღნიშნული ინფორმაცია იმერული გუნდის ვებ-გვერდმა ოფიციალურად დაადასტურა.

იგი „ჩიხურაში“ 2007 წლიდან უწყვეტად მუშაობდა და ალბათ დაგვეთანხმებით, რომ არამარტო ქართულ, ზოგადად ფეხბურთში 12 წელი ერთი გუნდის თავკაცის რანგში საკმაო იშვიათობაა. ამ პერიოდში ფრუიძის ხელმძღვანელობით „ჩიხურამ“ არაერთ წარმატებას მიაღწია და ევროტურნირებზეც (6-ჯერ) მეტ-ნაკლებად კარგად ასპარეზობდა, საქართველოს ჩემპიონატში კი ყველაზე დაბალი მაჩვენებელი მეხუთე ადგილი იყო.

„საჩხერის „ჩიხურაში“ ძალიან შინაარსიანი და საინტერესო 12 წელი გავატარე. ჩვენ ერთად შევძელით უამრავი სიხარული და წარმატება მოგვეტანა საჩხერისათვის. მინდა მადლობა გადავუხადო ყველა მწვრთნელს, სამედიცინო შტაბს, კლუბის პერსონალს, „ჩიხურას“ გულშემატკივარს, განსაკუთრებული მადლობა - კლუბის ხელმძღვანელობას გამოცხადებული ნდობისათვის და ყველას, ვისთან ერთადაც მომიწია ამ ხნის განმავლობაში მუშაობა. ამ ეტაპზე ვაპირებ, გარკვეული დრო დავისვენო და ასპარეზი ადგილობრივ, ძალიან ნიჭიერ მწვრთნელთა შემადგენლობას დავუთმო! წარმატებები საჩხერის „ჩიხურას“! – განაცხადა გამოცდილმა სპეციალისტმა.

ფრუიძემ „ჩიხურას“ თითოჯერ საქართველოს თასი (2017) და სუპერთასი (2013) მოაგებინა, ამასთან, თასის ფინალში სამჯერ გაიყვანა, ხოლო ერთხელ საჩხერლები ქვეყნის ვიცე-ჩემპიონები გახდნენ.

ამიერიდან „ჩიხურას“ ვახტანგ თურმანიძე გაწვრთნის, ფრუიძემ კი პაუზა აიღო.

გიორგი შოთაძე

◎ ხელბურთი

შანსი შევინარჩუნეთ

თბილისის **სპორტის სასახლეში სამამულო ხელბურთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩი გაიმართა – საქართველოს ეროვნული გუნდი ფინეთის ნაკრებს დაუპირისპირდა. შეხვედრა მძიმე ბრძოლაში, გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა და საბოლოოდ ფრედ დასრულდა – 24:24.**

„ჯვაროსნები“ სერიოზული გამოწვევის წინაშე დგანან: საქართველო-ფინეთის ორმატჩიანი დაპირისპირების გამარჯვებული ევრო 2022-ის მთავარ შესარჩევ რაუნდში მონაწილეობის უფლებას მოიპოვებს. საპასუხო ჯახი ხვალ ფინეთის ქალაქ რიიჰიმიაკიში 18 საათზე დაიწყება.

თუ საქართველოს ნაკრები ორი შეხვედრის ჯამში მიზანს მიაღწევს, ჩვენი გუნდი წელსვე უფრო მნიშვნელოვან ეტაპზე გადავა: 2020 წლის ოქტომბრიდან თბილისს ევროპის უძლიერესი გუნდები ეწვევიან. ეს იქნება ქართული ხელბურთის ახალი დღე და ჩვენი ნაკრები ელიტაში მოხვდება.

თბილისური დუელის საუკეთესო მოთამაშეებად მასპინძელი ცხოვრებაძე (8 გოლი) და სტუმართა მეკარე მიაკელა მიიჩნიეს.

მთავარ შესარჩევ ციკლში 32 ადგილია – არ ითამაშებენ მხოლოდ ფინალური ტურნირის მასპინძლები – უნგრეთი და სლოვაკეთი, ასევე, ევროპის 2020 წლის ჩემპიონი და ფინალისტი. დანარჩენი 32 გუნდი განაწილდება 8 ჯგუფად და ორ წრედ ითამაშებს. ფინალურ ეტაპზე გავა ჯგუფების 2-2 უძლიერესი გუნდი და ოთხი საუკეთესო მესამეადგილოსანი – ე.ი. 32-დან 20 ნაკრები. თუ ჩვენი ბიჭების ბოლოდროინდელ პროგრესს გავითვალისწინებთ, ევრო 2022-ზე მოხვედრა სავსებით რეალური პერსპექტივაა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ რაგბი

არგენტინაში ითამაშებენ...

დღეს საქართველო XV ზე-რაგბის ვიცე-ჩემპიონ „ხაგუარესთან“ 2-მატჩიანი სერიის პირველ თამაშს გამართავს.

არგენტინელები სუპერრაგბის ახალი სეზონისთვის ემზადებიან, რომელიც 1 თებერვალს იწყება და გენერალურ რეპეტიციას სწორედ დიდი 10-ის ნაკრებთან გაივლიან.

საქართველო XV-მა დეკემბრის ბოლოს და წლის დასაწყისში ორი ერთკვირიანი შეკრება გაიარა, „ვერცხლის ქვეყანაში“ კი 12 იანვარს გამთენიისას გაემგზავრა.

„ხაგუარესთან“ მარდელ-პლატაში დანიშნული სერიის პირველი ბრძოლა იმითაა საგულისხმო, რომ არგენტინული ფრანჩაიზი დედაქალაქს მიღმა პირველად თამაშობს.

ჩვენი გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ბესიკ ხამაშურიძემ „ხაგუარესთან“ სასტარტო მატჩისთვის შემადგენლობა უკვე შეარჩია. დამწყებთა შორის ექვსი მორაგბე საქართველოს ჩემპიონ „ბათუმიდანაა“, 3-3 მოთამაშეა გორის „ჯიქიდან“ და ქუთაისის „აიადან“, ორი – ვიცე-ჩემპიონ რუსთავის „ხარებიდან“, ხოლო ერთი – მარნეულის „არმაზიდან“...

რადგან თამაში მოსამზადებელ ხასიათს ატარებს, მხარეთა შეთანხმებით თითოეული გუნდის განაცხადში 29-29 მორაგბე იქნება, შეცვლების ლიმიტის გარეშე.

საქართველო XV „ხაგუარესთან“ სერიის მეორე მატჩს ბუენოს აირესში 24 იანვარს მოაწყობს.

საქართველო XV

ხაზი – ბექები: 15. ირაკლი სვანიძე (ჯიქი), 14. ანზორ სიჭინავა (ბათუმი), 13. გურამ ქანდაურაშვილი (ბათუმი), 12. გიორგი ნათელაშვილი (ხარები), 11. ნიკა გიგაური (არმაზი), 10. რეზი ჯინჭველაშვილი (ჯიქი), 9. ვაჟა ხუციშვილი (ხარები);

შერკინება – ფორვარდები: 1. ზურაბ ერისთავი (ბათუმი), 2. ბექა მამრიკიშვილი (ბათუმი), 3. ანტონ ფეიქრიშვილი (კაპიტანი), 4. მიხეილ ბაბუნაშვილი (აია), 5. სანდრო ქოიავა (ბათუმი), 6. გურამ შენგელია (აია), 7. დაჩი კოპაძე (ჯიქი), 8. ვანო ფუტკარაძე (ბათუმი).



მარქაფა: 16. გოგა ხუროშვილი (არმაზი), 17. ბექა გვარამია (აკადემია), 18. ნიკა პატარაია (ბუქარესტის „დინამო“, რუმინეთი), 19. ვანო ბერიკაშვილი (აკადემია), 20. გიორგი მჭედლიშვილი (იუნკერები); 21. კობა ბუჯიაშვილი (ბათუმი), 22. გიორგი ბაბუნაშვილი (აია), 23. დავით მოძღვრიშვილი (აკადემია); 24. რევაზ წიკლაური (აია), 25. თორნიკე ზოიძე (აკადემია), 26. არჩილ აბესაძე (ლელო-სარასენსი), 27. გიორგი ჭუაძე (აკადემია), 28. სანდრო მამამთავრიშვილი (ლელო-სარასენსი), 29. თორნიკე კიკნაძე (ჯიქი).

კობა კობახიძე

◎ წყალბურთი

საგანგაშო არაფერია

ბუდაპეშტში **მიმდინარე ევროპის წყალბურთელთა ჩემპიონატზე საქართველოს ეროვნულმა გუნდმა მორიგი შეხვედრა საბერძნეთის ნაკრებთან გამართა.**

რევაზ ჩომახიძის შეგირდებმა ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტის დამარცხება ვეღარ მოახერხეს და შეხვედრა ელადელთა გამარჯვებით დასრულდა – 17:10.

შეგახსენებთ, რომ ორი დღის წინათ „ჯვაროსნებმა“ საფრანგეთს სძლიეს და ჩვენს გუნდს ამ ისტორიული შედეგით კონტინენტის 12 საუკეთესო ნაკრებს შორის მოხვედრა უკვე გარანტირებული აქვს.

მომდევნო ბრძოლას საქართველოს ნაკრები ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდთან, იტალიასთან დღეს გამართავს. მატჩი თბილისის დროით 17:30 საათზე დაიწყება და უნგრეთიდან პირდაპირ ტრანსლაციას საქართველოს პირველი არხი შემოგთავაზებთ.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ინტერნეტიდან



უცნაური სიურპრიზი

ფეხბურთის **მოყვარულთ, ალბათ, ძალიან კარგად გახსოვთ ჩემპიონთა ლიგის 2018/19 წლების სეზონის ფინალური მატჩი, რომელშიც ინგლისურმა „ლივერპულმა“ „ტოტენჰემი“ 2:0 დაამარცხა, თუმცა, ამ შეხვედრის პირველი ტაიმის საუკეთესო ეპიზოდი მაინც ერთობ სექსუალური ლამაზმანის მოედანზე შევარდნა იყო.**

ვისაც აღარ გახსოვთ, შეგახსენებთ, რომ ეს თითქმის ბოლომდე ტიტლიკანად წარმოდგენილი უცნაური, თუმცა, ნამეტნავად გემრიელი ქალბატონი კინსი ვოლანსკი იყო, რომელიც წარმოშობით რუსია და სამოდელო სფეროში მოღვაწეობს, მისი მეგობარი მამაკაცი კი ვიტალი ზდოროვეცკი გახლავთ.

ამ ცოტა ხნის წინათ ქალბატონი ვოლანსკი კიდევ ერთხელ გახდა ბულვარული მედიის ყურადღების საგანი, რომელმაც განაცხადა, რომ იგი წლევანდელი ჩემპიონთა ლიგის ფინალისთვისაც აპირებს ერთგვარი სიურპრიზის შემოთავაზებას და ჯერ არ ამხელს, თუ ეს სიურპრიზი რა შეიძლება იყოს. სიგიჟის მეტი რა უნდა ქნას? ეს ქალი სტადიონზე გარმონს რომ არ დაუკრავს – ცხადია...

ბეჟან დოლიძე

SOS!

ჩინეთში უცნობი ვირუსისგან პაციენტი დაიღუპა

ემუქრება თუ არა მსოფლიოს ახალი ეპიდემია?

2019 წლის დეკემბერში ჩინეთის ქალაქ უხანში დაუდგენელი პათოგენით (დაავადების გამომწვევი მიკროორგანიზმი ან ფაქტორი) გამოწვეული პნევმონია მასობრივად გავრცელდა. 31 დეკემბერს ჩინეთის ხელისუფლებამ 44 დაავადებულის შესახებ განაცხადა. მათგან 11-ის მდგომარეობა მძიმე იყო. 9 იანვარს კი ერთ-ერთი პაციენტი გარდაიცვალა. ექიმების თქმით, მას მუცლის ღრუში სიმსივნე და ღვიძლის ქრონიკული დაავადება ჰქონდა, ამიტომ გარდაცვალების ზუსტი მიზეზი სპეციალისტებისთვის უცნობია.

ეპიდემიის მიზეზი რა არის?

ექიმები ეჭვობენ, რომ მიზეზია კორონავირუსის ერთ-ერთი შტამი, რომელიც ადამიანებში აქამდე არ დაფიქსირებულა. ჩინეთში მყოფ 41 პაციენტსა და ტაილანდში მცხოვრებ ერთ ქალს სწორედ ეს ვირუსი აღმოაჩნდა. ჯერჯერობით ეს არის ერთადერთი შემთხვევა, რომელიც ჩინეთის ფარგლებს გარეთ დაფიქსირდა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ინფორმაციით, დაავადების მიზეზის კვლევის პროცესში ჩინელმა სპეციალისტებმა გრიპის ვირუსი, ადენოვირუსი და სხვა ცნობილი ვირუსები გამორიცხეს.

ვირუსის გამომწვევ ზუსტ მიზეზს რატომ ვერ აღგენენ?

შესაძლოა, ეს ვირუსი ინფექციას სულაც არ იწვევს და უბრალო შემთხვევითობაა, მაგრამ ამის ალბათობა არც ისე დიდია. კორონავირუსები გაციების შემთხვევების 10-15%-ზეა პასუხისმგებელი. თუმცა ზოგიერთი შტამი სერიოზულ პნევმონიას იწვევს. მათ შორის არის:

- **მწვავე რესპირატორული სინდრომი** (SARS — severe acute respiratory syndrome), რომელსაც „ატიპურ პნევმონიასაც“ უწოდებენ. ამ დაავადების პირველი ეპიდემია 2002-2003 წლებში ჩინეთში დაფიქსირდა. მწვავე რესპირატორულმა სინდრომმა რამდენიმე ქვეყანა მოიცვა და ვირუსის შემთხვევების შემცირების მომენტისთვის (2003 წლის ზაფხული) დაავადებულთა თითქმის 10% დაიღუპა.
- **ახლო აღმოსავლეთის სინდრომი** (MERS — Middle East respiratory syndrome) პირველი დიაგნოზი საუდის არაბეთში 2012 წელს დასვეს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ვირუსს დაავადებული პაციენტების 35% ემსხვერპლა.

ადამიანებში კორონავირუსების მხოლოდ მცირე ნაწილია გავრცელებული. ის ძირითადად ცხოველებისთვის არის დამახასიათებელი. ახლო აღმოსავლეთის რესპირატორულ სინდრომს იწვევს ვირუსი, რომელიც ერთკუზიანი აქლემებისგან გადადის. მწვავე რესპირატორული სინდრომის მატარებლები და გამავრცელებლები კი ვივერები, იგივე ციბეტები არიან. გარდა ამისა, ვირუსის შემთხვევების ახალ ტალღას ქალაქ უხანში ზღვის პროდუქტებსაც უკავშირებენ. ვირუსით დაავადებულთა უმრავლესობა მათი ხშირი მყიდველი ან გამყიდველი იყო.

რა სიმპტომები აქვს ამ ვირუსით გამოწვეულ პნევმონიას?

საკმაოდ ჩვეულებრივი. ძირითადად ამ დროს პაციენტების ნაწილს სუნთქვა უჭირს, რენტგენოგრამაზე კი ფილტვში მიმდინარე ცვლილებები ჩანს.

ეს დაავადება იკურნება?

მკურნალობის სპეციალური კურსი, რომელიც მხოლოდ კორონავირუსისკენ იქნებოდა მიმართული, არ არსებობს. ამიტომ, ამ დროს რეკომენდებულია სიმპტომატური და შემანარჩუნებელი თერაპია.

მსოფლიოს ახალი ეპიდემია ემუქრება?

ალბათ, უფრო არა. ჯერჯერობით არ არსებობს ინფორმაცია, რომელიც ამ ვირუსის ადამიანიდან ადამიანზე გადასვლის ფაქტს დაადასტურებდა. ამ დასკვნას სპეციალისტები შემდეგ არგუმენტებზე დაყრდნობით ავრცელებენ:

— ზღვის პროდუქტების ბაზრობა უხანში 2020 წლის 1 იანვარს დაიხურა. 3 იანვრიდან კი კორონავირუსით გამოწვეული პნევმონიის ახალი შემთხვევები აღარ დაფიქსირებულა (გამონაკლისი იყო ერთი ადამიანი, რომელიც ქალაქ უხანიდან ტაილანდში ჩაფრინდა).

— პნევმონიის მქონე პაციენტების მომსახურე სამედიცინო პერსონალში ჯერ საეჭვო სიმპტომები არ დაფიქსირებულა.

როგორ დავიცვა თავი კორონავირუსისგან?

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია ჩინეთში მოგზაურობისგან თავის შეკავებას საჭიროდ არ მიიჩნევს. ის მხოლოდ ინფექციის პროფილაქტიკისთვის აუცილებელი რეკომენდაციებით შემოიფარგლება:

— ხელები რეგულარულად დაიბანეთ;

— ხორცი და კვერცხი საჭირო და აუცილებელ ტემპერატურაზე მოამზადეთ;

— თავი შორს დაიჭირეთ იმ ადამიანებისგან, რომლებიც აცემინებენ ან ახველებენ.

თუ თქვენ საეჭვო სიმპტომებს შენიშნავთ, აუცილებლად და ოპერატიულად მიმართეთ ექიმს. სხვა ადამიანებთან კონტაქტს მაქსიმალურად მოერიდეთ, რათა ვირუსი მათაც არ გადასდოთ.

იწყება სათამაშოებზე ზედამხედველობის პროცესი

რამდენიმე დღეში ძალაში შევა „სათამაშოების უსაფრთხოების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტი, რის შემდეგაც, ზედამხედველობის სააგენტოს წარმომადგენლები პროდუქციის თანდართულ დოკუმენტაციასა და მის ხარისხს შეამოწმებენ. ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, თუკი გაჩნდება ეჭვი პროდუქტის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, ნიმუში ლაბორატორიაში გადაიგზავნება. თუმცა, ერთი წლის განმავლობაში საშეღავათო პერიოდი იქნება და სანქციები არ იმოქმედებს. კომპანიებს მხოლოდ დარღვევების გამოსწორების რეკომენდაციები მიეცემა, რომელთა შესრულებასაც ზედამხედველი ორგანო გარკვეული დროის შემდეგ გადაამოწმებს.

ეკონომიკის სამინისტროში განმარტავენ, რომ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო პროდუქციას გააკონტროლებს იმპორტის და ბაზარზე განთავსების პროცესშიც. პროდუქციის ბაზრიდან ამოღებისა და განადგურების გარდა, დარღვევებზე ფულადი სანქციებიც დაწესდება, თუმცა ეს ზომაც 2021 წლიდან ამოქმედდება.

„პროექტი შეთანხმებულია სამთავრობო უწყებებთან და მთავრობის უახლოეს სხდომაზე წარვადგენთ დასამტკიცებლად. ის ამ თვეშივე ამოქმედდება, თუმცა სანქციების ნაწილი გადაწეული იქნება 2021 წლის დასაწყისში. სააგენტო მოახდენს ზედამხედველობას სათამაშოებზე მათ შორის ბაზარზე განთავსების მომენტში, იმპორტის დროსაც და გაიცემა რეკომენდაციები. ძირითადი მოთხოვნები უკავშირდება იმპორტიორების, მწარმოებლების მიერ წარსადგენ აუცილებელ დოკუმენტაციას და, რა თქმა უნდა, ფიზიკურ მახასიათებლებს, რომლებიც სათამაშოს საფრთხეს გამორიცხავენ“, — აცხადებს ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი რატი ობოლაძე.

მისი თქმით, სანქციები ბაზარზე ზედამხედველობის სფეროში არის შემზღუდველი ღონისძიებების სახით.

„ესენია: პროდუქტის რეალიზაციის შეჩერება, ამოღება, გამოთხოვა ან განადგურება. ამოღება ნიშნავს, რომ ვეღარ გაყიდის. გამოთხოვა კი, გაყიდული პროდუქციის უკან დაბრუნებისკენ მიმართულ ზომას ნიშნავს. შეჩერება არის იმ შემთხვევაში, თუკი შესაძლებელია პროდუქციის გამოსწორება ფიზიკური მახასიათებლების ან დოკუმენტაციის თვალსაზრისით და გონივრულ ვადაში გამოსწორების შემდეგ რეალიზაციის განახლება.

რაც შეეხება ფულად სანქციებს, ის ჩნდება მაშინ, როცა ამ გამოსასწორებელ ღონისძიებებს არ დააკმაყოფილებენ. შეუსაბამობის დარღვევა განისაზღვრება სააგენტოს მიერ. გადაეგზავნება სასამართლოს და სასამართლო დაადგენს კონკრეტულ სანქციას თითოეული ეკონომიკური ოპერატორისთვის“, — განუცხადა საქართველოს პირველ არხს ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა რატი ობოლაძემ.

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს "ემჯი ჰოლდინგი" კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ირაკლი ლაგვილავას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ირაკლი ლაგვილავა (პ/ნ 39001009803), ქ. სენაკი, ი. ჭავჭავაძის ქ. 39, სართ. 8, ბინა 23.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

ქ. სენაკი, ი. ჭავჭავაძის ქ. 39, სართ. 8, ბინა 23 (საკადასტრო კოდი: 44.01.04.109.01.023).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 15233.15 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2020 წლის 20 იანვარი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2020 წლის 3 თებერვალი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP64567420;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 645674

6. **მოვალე:** ირაკლი ლაგვილავა (პ/ნ 39001009803), ქ. სენაკი, ი. ჭავჭავაძის ქ. 39, სართ. 8, ბინა 23.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი" (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია".
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის" საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი", ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP64567420; ლოტის ნომერი: 645674).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2020 წლის 3 თებერვლის 10:00 საათამდე.

ქართული ღვინო სტალინის ეტიკეტით

ქართული ღვინის ექსპორტი ჩინეთში წლიდან წლამდე იზრდება. 2019 წლის 11 თვის მონაცემებით, კომპანიებმა ამ ბაზარზე 6 323 463 ბოთლი ღვინო გაიტანეს, რაც წინა წელთან შედარებით 2%-ით მეტია. არაერთი ქართული კომპანია ჩინეთში ღვინოს სტალინის ეტიკეტით ყიდის. რატომ იყენებენ ისინი სტალინს კომერციულ ბრენდად და რა პოზიცია აქვს ღვინის ეროვნულ სააგენტოს?

საქართველოსგან განსხვავებით, სადაც საზოგადოებაში სტალინისადმი ცუდი დამოკიდებულება ჭარბობს, ჩინეთში ის პოპულარულია. ქვეყანაში ერთპარტიული სისტემა მოქმედებს და მმართველი ძალაა ჩინეთის კომუნისტური პარტია.

ჩინეთში უამრავი ისეთი ნაწარმი იყიდება, რაზეც კომუნისტური სიმბოლიკაა გამოსახული, მათ შორის ქართული ღვინოები. ერთ-ერთ ასეთ ბოთლზე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ლიდერი მაო ძე დუნი და იოსებ სტალინი ერთად არიან გამოსახული.

ღვინის ეროვნული დეპარტამენტის მარკეტინგის დირექტორი ირაკლი ჩოლობარგია ამბობს, რომ სააგენტოსთვის ცნობილია ასეთი ფაქტების შესახებ.

„ჩვენთვის ცნობილია ამის შესახებ. რამდენიმე კომპანია ინდივიდუალურად აკეთებს ასეთ ეტიკეტებს და ჩინეთის ბაზარზე ყიდის. ჩინეთში სტალინი პოპულარულია. ეს კომპანიების გადასაწყვეტია და ჩვენ ვერაფერს ავუკრძალავთ. როგორც ჩანს, ასეთი ეტიკეტით ღვინო უფრო ადვილი გასაყიდია იქაურ ბაზარზე,“ — ამბობს იგი.

ჩოლობარგია განმარტავს, რომ ჩინური უმსხვილესი კომპანიები პარტნიორებს ღვინოს საკუთარი დიზაინით უკვეთავენ:

„ჩინური კომპანიები საკუთარი ვიზუალით უკვეთავენ კომპანიებს ღვინოებს, სხვადასხვა დასახელებასა და ვიზუალს ითხოვენ. იქაურ ბაზარზე ეს მიღებული სქემაა. შეიძლება, დიდმა საცალო ქსელმა დაგიკვეთოს ღვინო სხვანაირი შეფუთვით, ან სახელით.თუ იმაზე ვლაპარაკობთ, რამდენად მისაღებია ეს, იქაურ ბაზარზე მისაღებია და არაერთი კომპანია აკეთებს. იქაურ საზოგადოებაში სტალინი პოპულარულია და ძალიან ცნობილი ადამიანია. როგორც ჩანს, ასეთი ეტიკეტირებით კომპანიები გაცილებით სწრაფად ყიდიან პროდუქციას,“ — აღნიშნავს ჩოლობარგია.

რამდენიმე დღის წინათ ინტერნეტში გავრცელდა დუგლაძეების ჩამოსხმული ღვინის ბოთლის ფოტო სტალინის ეტიკეტით. როგორც კომპანიაში აცხადებენ, ღვინო სტალინის გამოსახულებით ჩინელი პარტნიორის მოთხოვნით, კერძო შეკვეთისთვის, მცირე რაოდენობით ჩამოასხეს.

კომპანიის წარმომადგენლები ხაზს უსვამენ იმ ფაქტს, რომ ეტიკეტის დიზაინი მათ არ ეკუთვნით და ამ დიზაინით ღვინო „დუგლაძეების ღვინის კომპანიის“ ბრენდით არ იყიდება. იმავეს იმეორებს ქართული ღვინის კიდევ ერთი კომპანია **„კახური ტრადიციული მეღვინეობა“**. როგორც კომპანიაში განმარტავენ, ეტიკეტი დამკვეთმა მოითხოვა.

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

უძველესი ვაზის ნაჟური საქართველოშია აღმოჩენილი

გინესის მსოფლიო რეკორდების წიგნი

გინესის მსოფლიო რეკორდების წიგნმა გუშინ მსოფლიოს უძველესი ღვინის შესახებ გამოაქვეყნა ინფორმაცია. ორგანიზაციის განახლებული შეფასებით, მსოფლიოს უძველეს ღვინოს 8,000 წლის წინათ საქართველოში ამზადებდნენ.

„გვიანი ნეოლითური ხანის ორ ნასოფლარში, შულავერის გორასა და გადაჭრილ გორაში, რომლებიც თბილისიდან სამხრეთით, 50 კილომეტრის დაშორებით არის განთავსებული, არქეოლოგებმა ფერმენტირებული ყურძნის უძველესი ნიმუშები აღმოაჩინეს. აღნიშნული ნიმუშები ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაახლოებით 6,000 — 5,800 წლით (8,000 წლის წინათ) თარიღდება. ყურძნის ნარჩენების უძველეს ნიმუშებს არქეოლოგებმა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებში მიაკვლიეს. ნიმუშების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ისინი შეიცავდნენ მჟავებს, რომლებიც ევრაზიული წარმოშობის ყურძნის ჯიშებისთვის (Vitis vinifera) არის დამახასიათებელი,“ — ნათქვამია გინესის მსოფლიო რეკორდების წიგნის ვებგვერდზე.

მკვლევარების თქმით, დგინდება, რომ ეს არის მსოფლიოში ღვინის ჭურჭლის დღეისთვის ცნობილი უძველესი არქეოლოგიური მტკიცებულება, რაც იმის მანიშნებელია, რომ ღვინო საქართველოში ჯერ კიდევ 8 000 წლის წინათ იწურებოდა და, საერთოდაც, ვაზის კულტურა სწორედ საქართველოდან შეიძლება იღებდეს სათავეს.

აქამდე ღვინის უძველეს არქეოლოგიურ მტკიცებულებად ჩრდილო-დასავლეთ ირანში აღმოჩენილი ჭურჭელი ითვლებოდა, რომელიც დაახლოებით 7,000 წლით თარიღდება.

ყველაზე გრძელი ნამცხვარი მსოფლიოში

ინდოელმა კონდიტერებმა სავარაუდოდ მსოფლიოში ყველაზე გრძელი ნამცხვარი გამოაცხვეს.

ღონისძიება კერალას მცხობელთა ასოციაციამ მოაწყო. რეკორდის დამყარების მცდელობაში დაახლოებით 1 500 კონდიტერი მონაწილეობდა. მათ ნამცხვარს ვანილის ბისკვიტი და შოკოლადის კრემი აქვს და ის 27 000 კილოგრამს იწონის. მისიის შესასრულებლად მათ 4 საათი დასჭირდათ.

დესერტის სიგრძე კი 6.5 კილომეტრია. გინესის რეკორდების წიგნის მიხედვით, ყველაზე გრძელ ნამცხვრად 2018 წელს ჩინელი კონდიტერების მიერ გამომცხვარი 3.2 კილომეტრის სიგრძის დესერტი ითვლება. შესაბამისად, ინდოელმა მზარეულებმა ახალი რეკორდი დაამყარეს.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 101 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

ყურადღება!

„საქართველოს რესპუბლიკის“ გამოსაწერად მიმართეთ:
„ელვა.ჯი“
577 991651
577 308847
შპს „მაცნე“
599 982777
„პლანეტა ფორტე“
579 799908

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.8818; ევრო - 3.2158;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.7639;
100 რუბლი - 4.6718; თურქული ლირა - 0.4902;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6944;
1000 სომხური დრამი - 6.0059.

ამინდი 18 იანვრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-8,	დღე	+10
მთიანი რაიონები -	ღამე	-12,	დღე	+5
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-2,	დღე	+10
მთიანი რაიონები -	ღამე	-5,	დღე	+7
თბილისი:	ღამე	-3,	დღე	+8

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge